პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

წელიწადი მესამე.

კომუნისტი

ს. კ. პ.
ცენტრალურ და ტფილისის
კომიტეტის
და სრ. საქ. მ., გ. წ. არ. და მატრ. დეპ. საბ.
ცაკის ორგანო.

რედაქცია: ტფილისი, რუსთაველის პროსპექტი, № 24 მეორე სართული
რედაქციაში საქმისთვის მოლაპარაკება შეიძლება ყოველდღე გარდა კვირა-უქმე დღეებისა 2-დან 3 საათამდე
ტელეფ. ნომრები რედაქტორის 14—76 მდივნის 10—58

მთავარი კანტორა ტფილისი, რუსთაველის პრ. № 26 ტელეფ. 5—48
ხელის მოწერის თვიური ფასი: საქართველოში 1.250.000 მან. განცხადება 15 კაპ. ჩერვონცებით ნონპარელის სტრიქონი. სამგლოვიარო განცხადება 4 მანეთი ჩერვონცებით.

№ 142 შაბათი 23 ივნისის, 1923 წ. ყოველდღიური გაზეთი ფასი 75,000 მან. № 142

დ ღ ი უ რ ი

— ინგლისის გაზეთები აღნიშნავენ საბჭოთა რუსეთის [illegible] ლოიალობას რუსეთ-ინგლისის კონფლიქტის [illegible].

— ბულგარეთის მენშევიკები სავსებით [illegible] ბულგარეთის ახალი მთავრობით და [illegible].

— ეტნის ამოხეთქა საშინელი შედეგებით გრძელდება, არის ადამიანთა მსხვერპლი. მცხოვრებლები გარბიან.

— ლოზანაში მყოფ ოსმალეთის დელეგაციამ განაცხადა, რომ ის იძულებული იქნება დასტოვოს კონფერენცია, თუ მოკავშირეები დათმობაზე არ წავიდენ სესხის განაღდების საკითხში.

ამით იუწყება ამიერ კავკასიის აღმასრულებელ კომიტეტის ყველა წევრებს და კანდიდატებს,

ამიერ-კავკასიის აღმასრულებელი კომიტეტის მორიგი სესიის სხდომა გაიხსნება

ა. წ. ივნისის 28-ს სასახლის წითელ დარბაზში.

ამიერ-კავკასიის აღმასრულებელი კომიტეტის მდივანი **თალიბლი.**

„კომუნისტი“-ს რედაქცია გადავიდა

ახალ ბინაზე: რუსთაველის პროსპექტი, 24, მეორე სართული (მუშათა და გლეხთა ინსპექციის ყოფილი ბინა).

კონფლიქტის დასასრული

როგორც ჩვენი გაზეთის გუშინდელ №-ში გამოქვეყნებულ მასალიდან გაიგებდა მკითხველი, ინგლის-რუსეთის კონფლიქტი ამოწურულად და დამთავრებულად შეიძლება ჩაითვალოს. ამას კიდეც აღნიშნავენ უკანასკნელ დიპლომატიურ მიწერ-მოწერაში ორივე მხარის მთავრობები.

რა გამოირკვა საბჭოთა რესპუბლიკებზე კერზონის დიპლომატიური თავდასხმის დროს და ვინ გამოვიდა აქედან არსებითად გამარჯვებული?

ჩვენი მთავრობა დათმობებზე წავიდა და საკმაოდ დიდ დათმობებზედაც. მაგრამ ეს ისეთი დათმობებია, რომლებიც არ ლახავენ მუშათა სახელმწიფოს სუვერენიტეტს და საბჭოთა წყობილების საფუძვლებს.

საბჭოთა დიპლომატიამ იმ თავითვე აუღო სწორი ალღო კერზონის განზრახვებს. ლორდ კერზონს სურდა თავისი თავხედური ულტიმატუმით გამოეწვია საბჭოთა მთავრობის შეურიგებელი და მკაცრი ტონის და შინაარსის პასუხი, ამით დაემტკიცებია ინგლისის ხალხისათვის, თითქო რუსეთი მისდევს იმპერიალისტურ პოლიტიკას, რასაც შედეგად უნდა მოჰყოლოდა ინგლისის სოციალურ ძალების ერთიანი ფრონტის შექმნა დღევანდელ კონსერვატიულ კაბინეტის გარშემო. ეს გაამაგრებდა ბრიტანეთის მთავრობის პოზიციას შინაში, შეასუსტებდა იქ ოპოზიციონურ და მუშათა მასსებს, გაზრდიდა მის საერთაშორისო წონას, კერძოდ ძალას შემატებდა მას საბჭოთა რუსეთის წინააღმდეგ ბრძოლაში.

ეს იქნებოდა დიდი მინუსი როგორც რუსეთის, ისე მსოფლიო რევოლიუციის თვალსაზრისით.

საბჭოთა მთავრობამ სათანადო ანგარიში გაუწია ამ გარემოებას, კარგად გაუსინჯა კბილი კერზონის პროვოკაციულ ნაბიჯს და თავისი უაღრესი მშვიდობიანობის მოყვარეობის საჯარო დემონსტრაციით ერთიანად ჩაფუშა ლონდონის ვერაგული გეგმა.

ჩვენმა მთავრობამ თავისი პოლიტიკით გაანაპირა ინგლისის ერთი მუჭა მილიტარისტული შაიკა მუშათა და ლიბერალურ-საქმიან ჯგუფებიდან, უფრო გაალრმავა ამ წრეებ შორის არსებული უფსკრული, საკმაო სამსახური გაუწია მუშათა მოძრაობას ინგლისში და საშუალება წაართვა „რუსეთის კრედიტორების მთავრობას“ საბჭოთა რესპუბლიკებზე გალაშქრებისა.

მართალია, კერზონის ულტიმატუმით და რუსეთის პასუხით შექმნილი მდგომარეობა შესაფერისად ვერ გამოიყენეს ინგლისის „სოციალისტებმა“, ინგლისის მუშათა კლასის ლიდერებმა. მათ არ მოისურვეს და ვერ შესძლეს, მათთვის დამახასიათებელი ოპორტიუნიზმის წყალობით, ისეთი კამპანიის გაჩაღება, რომელიც საგრძნობლად გაზრდიდა ინგლისის პროლეტარიატის პოზიციას იმპერიალისტური და რეაქციონური ბურჟუაზიის წინააღმდეგ. მაგრამ ყოველ შემთხვევაში თვით მუშათა მასსებმა სისწორით შეაფასეს რევოლიუციონურ რუსეთის პოლიტიკა და აქედან ერთგვარი დასკვნებიც გამოიყვანეს.

ამგვარად, საბჭოთა მთავრობამ ერთხელ კიდევ გამოაშკარავა მთელი ქვეყნიერების წინაშე თავისი სამშვიდობო პოლიტიკა, ამით აღმოცენებულ კონფლიქტის გამწვავების შესაძლებლობა წაართვა ამის მოსურნეთ და აიცილა მოსალოდნელი ომი.

ევროპის და კერძოდ ინგლისის ბურჟუაზია მშვენივრად ხედავს, რომ საბჭოთა რესპუბლიკები დღითი დღე ძლიერდებიან ყოველ-მხრივ, რომ საბჭოთა ხელისუფლებამ ღრმა და მკვიდრი ფესვები გაიდგა ხალხში. საჭიროა კიდევ განვლოს რამოდენიმე ხანმა დღეს არსებულ შედარებით მშვიდობიანობაში, რომ მუშურ-გლეხური ხელისუფლება იქცეს ისეთ ძალად, რომლის დამარცხებაზე ფიქრიც სისულელე იქნება. ამიტომ, სანამ ეს მოხდებოდეს, კერზონმა შინჯა ნიადაგი გაძლიერების პროცესში მყოფ საბჭოთა რესპუბლიკაზე შეტევის დასაწყებად.

ჩაფუშვა ამ განზრახვის, მშვიდობიანობის შენარჩუნება უდიდესი გამარჯვებაა საბჭოთა მთავრობის.

კერძოდ უნდა ავღნიშნოთ კიდევ რამდენიმე სხვა, უფრო ვიწრო და კონკრეტულ ხასიათის მომენტი.

ინგლისის მთავრობა იძულებული გახდა განეცხადებია, რომ ის „თავის მხრივ თანახმაა პროპაგანდაზე და მტრულ მოქმედებაზე ხელის აღების ვალდებულების ტექსტი შეავსოს მუხლით რუსეთის ემიგრანტებისათვის საბჭოთა მთავრობის და მოკავშირე რესპუბლიკების წინააღმდეგ დახმარების არ მიცემის შესახებ“.

ეს, რა თქმა უნდა, საკმარისი არ არის. საბჭოთა მთავრობამ კიდეც მოითხოვა, რომ „ინგლისმა უარი სთქვას არა მარტო რუს ემიგრანტების, არამედ ყოველგვარი მტრულ მოქმედების დახმარების გაწევაზე, ვისი მხრითაც არ უნდა იყოს ის“.

ყოველ შემთხვევაში ცხადია, რომ ინგლისის ზემო მოყვანილი განცხადება მოწმობს, რომ ის იძულებულია სცნოს საბჭოთა მთავრობის ძლიერება და ამ შემთხვევაში ელაპარაკოს მას თანასწორობის და ურთიერთი ვალდებულების აღიარების საფუძველზე.

ინგლისის მეორე განცხადების მიხედვით, ის „არ მოითხოვს სხვა ინგლისელ მოქალაქეების ზარალის ანაზღაურებას გარდა გარდინგისა და დევისონისა“. ჩვენ ვიცით, რომ ლონდონის მთავრობამ მეორე ნოტაში შეაპარა მოთხოვნა რევოლიუციის მიერ საერთოდ დაზარალებულ მოქალაქეთა ანაზღაურებაზე. ეს იყო გამოძახილი ურკარტის და სხვა „კრედიტორების“ სულისკვეთების.

მაგრამ ამბების შემდეგმა მსვლელობამ აიძულა მაკნეილი უკან წაეღო ეს წინადადება.

ეს, რა თქმა უნდა, იმას არ ნიშნავს, რომ ინგლისი საბოლოოდ ხელს იღებს თავის ამ პრეტენზიებზე ან რუსეთის წინააღმდეგ მტრულ მოქმედების წარმოებაზე. ეს მხოლოდ იმის მაჩვენებელია, რომ საბჭოთა მთავრობის პოლიტიკამ და კონფლიქტის პროცესში გამორკვეულ ძალთა განწყობილებამ დროებით მაინც აიძულა ლონდონი ამ საკითხებში უკან დაეხია. ინგლისის ბურჟუაზია იქნება უფრო ხელსაყრელ მომენტის ლოდინში, რომ ისევ წამოაყენოს თავის პრეტენზიები და შეეცადოს საბჭოთა რესპუბლიკის დამხობას. მაგრამ შანსები ასეთი მომენტის დადგომისა დღითი დღე უფრო საეჭვო ხდება. ფეხზე წარმომდგარი საბჭოთა რესპუბლიკა, განწყობილება მისი მშრომელი მასსის, რომელიც თავის მთავრობას აქტიურად უჭერს მხარს, რის გრანდიოზული და მრისხანე დემონსტრაცია მოხდა ამ კონფლიქტის გამო, და მსოფლიო რევოლიუციონური მოძრაობის განვითარება ეჭვს გარეშე ხდიან, რომ ეს „ხელსაყრელი მომენტი“ ჩვენს მტრებს არასოდეს არ დაუდგებათ.

ერთი კოოპერატივი და ორასი ვაჭარი

დღევანდელ პირობებში, როდესაც ბაზარზე ფულის ფასის საშინელ მერყეობას აქვს ადგილი და სწრაფათ ვითარდება სპეკულიაცია, საბჭოთა პლატფორმაზე მდგომი ყველა ეკონომიური ორგანიზაციები მოწოდებული არიან, რაც ძალა და ღონე შესწევთ, შემოკრბენ ერთი მთლიანი მაგარი მომქმედი ორგანიზაციის გარშემო და აწარმოონ აქტიური ბრძოლა მადა გაღვიძებულ სპეკულიაციის წინააღმდეგ, რომელიც ლამობს ეკონომიურ ფრონტზე საბჭოთა ძალების განადგურებას როდესაც ამ ბრძოლაზე ვლაპარაკობთ ყურადღება უნდა მიექცეს სოფელს.

დღეს ეს უკანასკნელი უკიდურეს მდგომარეობაში იმყოფება. მიწის მუშა გლეხი ფიქრობდა: მოვხნავ-მოვთესავ რაც შეიძლება უფრო მეტს, ვიდრე წარსულში, მეურნეობის განვითარებას ხელს შევუწყობ და ცოლშვილს დავაკმაყოფილებო. მაგრამ დღეს სოფლის ნაწარმოები მუქთად იყიდება, გლეხის ნაშრომი და ნაამაგარი სათანადოთ არ ფასდება, მის ნაწარმოებზე ფასი იმდენათ დაეცა რომ თითქმის ქალაქის ნაწარმოებთან შედარებით არავითარ ღირებულებას არ წარმოადგენს. წონასწორობა ქალაქის ნაწარმოების და სოფლის ნაწარმოების ფასებს შორის იმდენათ დაირღვა, რომ მათი შედარება ძნელდება. უბრალო წაღის შესაძენათ გლეხი იძულებულია ოცი ფუთი სიმინდი გაყიდოს. წინეთ კი ფუთ ნახევრად იძენდა. ცხადია თუ რა ძნელია ასეთ პირობებში ბრძოლა თავაშვებული სპეკულიაციის წინააღმდეგ ისიც ბაზრის დასაპყრობად და ულარიბესი გლეხობის უკიდურეს გაჭირებიდან ამოსაყვანად. ვის უნდა ეკისრა ეს თუ არა კოოპერაციას, რომელიც წარმოადგენს მასიურ ორგანიზაციას. ურყევ ჭეშმარიტებას წარმოადგენს, რომ მთელი სიმძიმე ამ ბრძოლისა თავზე აწვებოდა კოოპერაციას. ეს მძიმე ტვირთი იყო, რომლის ზიდვა განახლებული კოოპერაციისათვის საძნელო საქმეს წარმოადგენდა. მაგრამ კოოპერაციამ ეს მოვალეობა თავისთავზე აიღო და შეუდგა კიდეც ბრძოლას.

ჩვენ აქ შევეცდებით მკითხველს გავაცნოთ, თუ როგორ აწარმოებს ბრძოლას ჩვენი კოოპერატივთა კავშირები. მაგალითისთვის მოვიყვანთ ლანჩხუთს.

ლანჩხუთის რაიონი საკმაოთ ძლიერი პუნქტი არის, კვირაში ერთხელ აქ იმართება ძლიერ დიდი ბაზრობა. აქ იყო 25-დე რესტორანი, 130-დე სავაჭრო და მანუფაქტურის დუქნები, აუარება კიდევ წვრილი, მის გარშემო სოფლებში კიდევ ბევრი იყო. ასე რომ თუ ავიღებთ საერთო რიცხვს როგორც ქალაქის, ისე ქალაქის გარეშე მდებარე დუქნებისას, ის უდრის 200 დე სავაჭრო დუქანს. გარდა ამისა იყო კიდევ აუარება ჩარჩები, რომლებსაც ოფიციალურად დუქნები არა აქვთ გახსნილი, მაგრამ ისე კი დაძრწიან სოფლად. კოოპერატივი კი არსებობდა ერთი, ისიც ღარიბი, რომლის თანხა უბრალო ჩარჩის თანხას არ აღემატებოდა. მაგრამ რა მოხდა სინამდვილეში? ღარიბმა კოოპერატივთა კავშირმა შეკრა მჭიდრო კავშირი მიწის მუშა ულარიბეს გლეხობასთან; თავის თავზე აიღო გასაღება მისი ნაწარმოების, როგორიცაა— ჩაი და სხვა.

კოოპერატივთა კავშირის გარშემო სტიქიურად შემოკრბა გლეხთა ულარიბესი მასები, საბრუნავი თანხა გაიზარდა, კავშირი იქცა ეკონომიურად ძლიერ ორგანიზაციად, ამოქმედდა. ამოძრავდა ის, მას ხმა მისცა სოფელმა, დაიწყო ბრძოლა ბაზრის დასაპყრობად. ერთ მხარეზე იდგა ორასი ვაჭარი, შეიძლება ითქვას შეიარაღებული ფეხიდან კბილებამდე, მეტი გამოცდილებით ბრძოლის უკეთესი მეთოდებით და მეორე მხარეზე –კოოპერატივი. აი როგორი იყო ძალთა განწყობილება ბრძოლის დასაწყისში.

ბევრი ფიქრობდა ბრძოლაში კოოპერატივი დამარცხდებოდა, მაგრამ საქმე სხვანაირად დატრიალდა. რამოდენიმე კვირის განმავლობაში კავშირის საქონლის საერთო ბრუნვის ღირებულება ხუთმეტ მილიარდამდის ადის. ამ ხნის განმავლობაში კავშირმა მკაცრი ბრძოლა აწარმოვა, და ვაჭრები—სპეკულიანტები ისეთ მდგომარეობაში ჩააყენა რომ, ბრძოლის ასპარეზი მიატოვეს, მიიმალენ, სავაჭრო დუქნები გამოკეტეს, გაკოტრდენ. მათგან დღეს დარჩა მხოლოდ 7—8 ვაჭარი, რომელთა არსებობა კოოპერატივთა კავშირს არავითარ საფრთხეს არ უმზადებს. ეს ფაქტი თავის თავად ლაღადებს და ვისაც სურს და აინტერესებს გაცნობა ამ მდგომარეობის, კარგი იქნებოდა თუ გადაავლებდა თვალს ლანჩხუთის რაიონს.

ყველა კოოპერაციისაკენ!—აი რა ლტოლვა ახასიათებს ლანჩხუთის ულარიბეს გლეხობას. კავშირიც აფართოვებს თავის მოქმედებას. მას დღეს 15 მდე სავაჭრო დუქანი აქვს. შესაძლებლობის ფარგლებში აკმაყოფილებს მომხმარებელის მოთხოვნილებას ამ რაიონში. კოოპერაცია ყველაზე მეტის ავტორიტეტით სარგებლობს. მივბაძოთ იქ მომუშავე ამხანაგებს, ვისარგებლოთ მათი გამოცდილებით. დავიცვათ ულარიბესი გლეხობა სპეკულიანტის თავდასხმისაგან. ამ შემთხვევაში ეს გლეხობაც ჩვენთან იქნება და დაწყებულ ბრძოლას ყველგან ბრწყინვალე გამარჯვებით დავაგვირგვინებთ.

მ. ცინცაძე.

ინტერესთა წინააღმდეგობა საფრანგეთის ბურჟუაზიაში

უმაღლესმა სასამართლომ განცხადებით, რომ „კომუნისტური შეთქმულების“ გამორკვევა მის კომპეტენციაში არ შედის დემონსტრაცია მოახდინა პუანკარეს მთავრობის პოლიტიკის წინააღმდეგ რურში.

2 იანვრის შემდეგ საფრანგეთის მთელი ბურჟუაზია შეუერთდა იმპერიალისტურ პოლიტიკას, რომელიც ვითომდა „რეალური გარანტიების“ მისაღებათ ცდილობს შექმნას რეინლანდიდან სახელმწიფო-ბუფერი საფრანგეთის პროტექტორატის ქვეშ, გერმანიის მძიმე ინდუსტრია კი— დაუმორჩილოს საფრანგეთის მძიმე მრეწველობას. ყველა ამას მიზნათ აქვს ვესტფალიის პროლეტარიატის ექსპლოატაცია და აგრეთვე რურის ოკუპაციის გამოყენება კონტრ-რევოლიუციონური მიზნებისთვის.

უნდა აღინიშნოს, რომ მიუხედავათ სხვა და სხვა ქვეყნის კაპიტალისტურ წრეებს შორის არსებულ ინტერესთა სხვა და სხვაობისა, საფრანგეთ-ბელგიის მიერ რურის ოლქის სამხედრო ძალებით დაკავება შეადგენს კონტრ-რევოლიუციონური გეგმის ნაწილს, რომელსაც სიჩუმით შეხვდენ მთელი ქვეყნის და მათ შორის გერმანელი კაპიტალისტები.

პირველ ყოვლისა ეს კონტრ რევოლიუციონური გეგმა მიზნათ ისახავს ხიშტის საშვალებით იმ მუშური ოლქის დამონებას, რომელიც 1920 წელს ავანგარდში ედგა გერმანიის რევოლიუციონურ მოძრაობას.

ამას გარდა, რურის დაპყრობა საშვალებას აძლევს საფრანგეთს შესწყვიტოს ნახშირის მიწოდება გერმანიისათვის, რაც ანადგურებს გერმანიის მრეწველობას, რომელიც ერთ დღეს მაინც პოლიტიკურ ძალაუფლებასთან ერთად უნდა გადასულიყო გერმანიის პროლეტარიატის ხელში.

რაპალოში დადებულ ხელშეკრულების თანახმად საბჭოთა რუსეთმა რურის ქარხნებს დაუკვეთა რუსეთის ეკონომიურად აღდგენისათვის საჭირო მანქანები და სხვადასხვა მოწყობილობა. რურის ოკუპაციას, რომელმაც ხელი შეუშალა ამ დაკვეთის შესრულებას, მტკიცე კავშირი აქვს კაპიტალის შეტევასთან, რომელიც მზადდება რუსეთის რევოლიუციის წინააღმდეგ.

დაბოლოს, რურის ოკუპაცია საშუალებას აძლევს საფრანგეთის იმპერიალისტებს, რუსეთის რევოლიუციასთან გაერთიანებული გერმანიის რევოლიუციის წინააღმდეგ მოსალოდნელი კონტრ - რევოლიუციის დროს, გამოიყენოს ევროპის უდიდესი სამრეწველო რაიონი.

საფრანგეთის იმპერიალიზმის მოწინააღმდეგეები—ინგლისის, ამერიკის და იტალიის იმპერიალიზმი,— ხმას იმაღლებდენ საფრანგეთის მიერ ორ იანვარს დაწყებული პოლიტიკის წინააღმდეგ იმდენათ, რამდენათაც ეს პოლიტიკა ზიანს აყენებდა მათ პირად ინტერესებს.

და თუ ზემოთ ჩამოთვლილი სახელმწიფოების იმპერიალისტები მაინც ითმენდენ ამ პოლიტიკას მხოლოდ იმიტომ, რომ საფრანგეთის იმპერიალისტების ნაბიჯები ეთანხმებოდა მათ საერთო კონტრ-რევოლიუციონურ ინტერესებს.

მთავარი ფაქტი, რომელიც უნდა აღინიშნოს მდგომარეობს იმაში, რომ რურის ოკუპაციამ უთანხმოება გამოიწვია თვით საფრანგეთის კაპიტალისტურ წრეებში. ეს უთანხმოება გამოააშკარავა ლუბერის ოფიციალურმა მისიამ ინგლისში, რომ ლუბერი პრეზიდენტ მილიერანის კერძო წარმომადგენელი იყო, ეს არავისთვის არ შეადგენს საიდუმლოებას. ყველამ იცის აგრეთვე, რომ მილიერანი ბევრ საკითხში პუანკარეს ზურგს უკან მოქმედებდა.

ლითონის დამუშავებელი მრეწველობის საკომისიო ბიუროები გაქრენ. არა ერთნაირი პირობები, რომლებიც შეიქმნენ ამ მრეწველობის სხვადასხვა ჯგუფებისათვის, საშუალებას არ აძლევენ მათ ასწიონ პროდუქციის ფასი.

შნეიდერ დიუ კრეზისა და „კომიტე დე ფორჟს“ (საფრანგეთის ლითონის დამმუშავებელი წარმოების კომიტეტი) შორის მომხდარი განხეთქილება არა ნაკლებ მნიშვნელოვანია.

საფრანგეთის მსხვილი კაპიტალიზმი, რომელზეც არაერთნაირათ იმოქმედა ეკონომიურმა ნგრევამ, რაც შედეგათ მოყვა რურის ოკუპაციას, გაიყო ორ სხვადასხვა ტენდენციების მქონე ბანაკათ. ინტერესთა სხვადასხვაობა ამ ორ ბანაკს შორის თანდათანობით ღრმავდება.

პირველი ტენდენცია წარმოადგენს კაპიტალისტურ ექსტრემიზმს, რომელსაც სურს გამოიყენოს რურის ოკუპაცია მთელს ევროპაში საფრანგეთის ბურჟუაზიის ბატონობის დასამყარებლად.

მეორე მიმართულება მიზნათ ისახავს თუ გინდ დიდი დათმობების გზით მიაღწიოს შეთანხმებას გერმანიის მძიმე ინდუსტრიასთან.

ამ მეორე მიმართულებას არ ქონდა საშუალება აშკარად გამოსულიყო პუანკარეს ექსტრემისტული პოლიტიკის წინააღმდეგ მას შემდეგ, რაც ის ოფიციალურად მიემხრო მას. ამიტომ მან განიზრახა პუანკარეს მთავრობის აფეთქება და ამ მიზნით მიიღო „დემოკრატიულ თავისუფლებათა“ დამცველის პოზა და უარი სთქვა „კომუნისტურ შეთქმულებისათვის“ დატუსაღებულთა გასამართლებაზე.

აი რათ მოითხოვა ბურჟუა-დემოკრატმა ტეტტინგერმა დატუსაღებულ კომუნისტების განთავისუფლება. აი რათ სთქვა სენატმა უარი კომუნისტების გასამართლებაზე.

მუშებმა და მით უფრო ჩვენმა პარტიამ არ უნდა მოიტყუონ თავი სენატის ლიბერალიზმით, რომელიც ვითომდა მემარცხენე ბლოკის დიდი დამსახურებაა.

მემარცხენე ბლოკს სურს ისარგებლოს მუშათა კლასით, რომ უზრუნველყოს თავისი ფინანსიური და სამრეწველო კომბინაციების წარმატება.

მხოლოდ დამოუკიდებელი და მტკიცე პოზიციის დაჭერით შესძლებს პროლეტარიატი ხელი შეუშალოს ბურჟუაზიის სხვა და სხვა ჯგუფებს როგორც რურის, ისე მთელი ევროპის და მთელი მსოფლიოს გაყვლეფაში.

გილზენკირხენში ძალაუფლების ჩაგდების შემდეგ, ჩვენი გერმანელი ამხანაგები შეეცადენ განევითარებიათ მოძრაობა, რომელიც მიზნათ ისახავდა ვესტფალიის პროლეტარიატის გადარჩენას საფრანგეთის კაპიტალისტების მიერ გაყვლეფისაგან, ამით ჩვენმა ამხანაგებმა გზა უჩვენეს მთელ საერთაშორისო პროლეტარიატს.

საფრანგეთის კომუნისტური პარტია გამოიჩენს მაქსიმუმ ენერგიას, რომ აუხსნას ფრანგ ჯარისკაცებს რურში, რომ მათ არავითარ შემთხვევაში არ უნდა იხმარონ იარაღი თავისი კლასობრივი ძმების—ვესტფალიის და რეინლანდის მუშების წინააღმდეგ.

თავისი მრავალრიცხოვანი და თავზარდამცემი მანიფესტაციებით პარიზის პროლეტარიატმა დაამტკიცა, რომ არჩევს თავისი კლასის დამოუკიდებელ გამოსვლას პარლამენტში ძნელი კომბინაციებისაგან.

პარიზის შუაგულში მან ხმა მაღლა განაცხადა, რომ მას სურს გერმანიის პროლეტარიატთან ერთად იბრძოლოს იმ „ინტერნაციონალისტების“ წინააღმდეგ, რომლებიც ერთნაირად სარგებლობენ, როგორც ომით ისე ზავით.

ა. ტრენ.

სრულიად საქართველოს ცენტრალური აღმასკომის მეოთხე სესია

21 ივნისის დილის სხდომის გაგრძელება.

კამათი ავაქოვის მოხსენების შესახებ.

ამხ. ავაქოვის ვრცელი მოხსენების შემდეგ იწყება შეკითხვები და კამათი.

ამხ. **კარტოზია** განსაკუთრებით ჩერდება თამბაქოს მრეწველობის წარმოების დეფიქტებზე.

ამხ. **ერქომაიშვილი** ფიქრობს, რომ მრეწველობის ცუდი მდგომარეობა სუბიექტიური მიზეზებით აიხსნება. არ არის გამოცდილი მეურნეები, კომერციული მიდგომა სამეურნეო საკითხებისადმი. აქციზები და გადასახადები გაცილებით მცირეა ომის წინანდელ ნორმებთან შედარებით. არც სარკინიგზო ტარიფია მიუწდომელი. მომხსენებელი სცდება, როდესაც მრეწველობის ცუდ-მდგომარეობას ამ მიზეზებით ხსნის.

21 ივნისის საღამოს სხდომა.

თავმჯდომარეობს ამხ. მიხა ცხაკაია.

ამხ. ავაქოვის პასუხი.

ამხ. ავაქოვი, სანამ თეზისებს წაიკითხავდეს საქართველოს მრეწველობის შესახებ, უპასუხებს ამხ. ერქომაიშვილს.

ის ამტკიცებს, რომ აქციზი მეტად დიდია; მოჰყავს ამის დასამტკიცებლად ციფრები.

შემოსავლიანი მრეწველობა.

მიუხედავათ ყველა დაბრკოლებისა, მრეწველობა მაინც შემოსავალს იძლევა, რომელიც მოხმარდა უმთავრესად ისეთ საქმეებს, როგორიცაა ჩათახის ქარხნის აღდგენა, გომის სპირტის ქარხანა და სხვა.

მრეწველობის და ქარხნების აღდგენას ის მნიშვნელობაც აქვს, რომ ამით განაპირა კუთხეებში ძლიერდება ბუდე პროლეტარიატისა.

დამაბრკოლებელი მიზეზები.

მრეწველობის განვითარების უმთავრეს დამაბრკოლებელ მიზეზათ მომხსენებელი სთვლის ფინანსიური დახმარების სიმცირეს და ნაწარმოების გადიდებულ დაბეგვრას, აქციზებს და გადასახადს.

სპეცების ჯამაგირის შესახებ მომხსენებელი ამბობს, რომ ის არ სცილდება მთავრობის მიერ განსაზღვრულ ჯამაგირის რაოდენობას, მეტ წილად გაცილებით უფრო დაბლა დგას, იშვიათად აღემატება 120 მანეთს.

დასასრულ მომხსენებელი კითხულობს თავის თეზისებს მრეწველობის შესახებ.

ამხ. ერქომაიშვილს შემოაქვს წინადადება თეზისებიდან ამოღებულ იქნას ის ადგილი, რომელიც ეხება აქციზის და გადასახადების შემცირებას.

თეზისები მიღებულ იქნა სესიის მიერ.

მთლიანი სასოფლო-სამეურნეო გადასახადი

ამხ. ერქომაიშვილის მოხსენება.

გადასახადების შემოღების აუცილებლობა.

მთლიანი სასოფლო-სამეურნეო გადასახადი მჭიდროთ დაკავშირებულია მუშა და გლეხთა, ქალაქის და სოფლის კავშირის განმტკიცების საკითხთან. ყოველი ნაბიჯი ამ თვალსაზრისით უნდა იქნეს გაზომილი, დასმულ უნდა იქნეს საკითხი: ვამაგრებთ ამ კავშირს თუ არა?

აგრარული საკითხის გადაჭრით შექმნილია პირობები სასოფლო მეურნეობის გაზრდისთვის, მისი პროდუქციის ამატებისთვის. მაგრამ ფასებმა სასოფ.-მეურ. ნაწარმოებზე ძალიან დაიკლო. ფუთი სიმინდი წინანდელი ფასის ეოთხედათ ფასობს ამ ჟამად. ფულის კურსის დაცემა არის მიზეზი ბაზრის პირობების გაუარესებისა. ფულის კურსი კი ეცემა ემისიის გაუთავებელი ზრდით. ემისია აუცილებლად უნდა შემოკლდეს, ამისათვის კი სხვა ზომებთან ერთად საჭიროა გადასახადების შემოღება.

გადასახადების გაერთიანება.

ყველა გადასახადები აუცილებლად გაერთიანებულ უნდა იქნეს, რომ გლეხთან მისვლა გადასახადის მოთხოვნილებით მხოლოდ ერთჯერ გვიხდებოდეს. საკითხი კიდეც ასეა გადაჭრილი. ერთიან სასოფლო-სამეურნეო გადასახადში თავმოყრილია ყველა გადასახადები და ბეგარა, როგორც მაგ. შრომის და ტვირთზიდვის ხარკი, ადგილობრივი გადასახადები და სხვა. აქვე უნდა შევიდეს ის გადასახადი, რომლის შემოღება განზრახული ჰქონდა ამიერ-კავკასიის წყალთა განყოფილებას („ზაკვოდხოზ“), ეგრედ წოდებული სარწყავი გადასახადი. ამნაირათ მოხდება გადასახადების გაერთიანება, უნიფიკაცია.

რას ველით გადასახადისაგან.

საქართველოში, 1917 წლის ცნობებით, ითვლება 816.000 დესეტინა სათესი სივრცისა, გადასახადი შემოღებულია სწორედ ამ სივრცის რაოდენობის მიხედვით, საშუალოდ დესეტინა იხდის სამ ფუთს ხორბლეულობის ერთეულს. ჩვენი გლეხი რუსეთის გლეხზე ორჯერ ნაკლებს იხდის. გადასახადი შემოღებულია სათესი სივრცის მთელ რაოდენობაზე და არა მარტო დათესილ სივრცეზე.

ნატურალური თუ ფულადი გადასახადი.

წინა წლებში გადასახადი ნატურით იკრიბებოდა, რაც მრავალ უხერხულობას იწვევდა. მეორე მხრივ შეუძლებელია დღესვე მარტო ფულის გადასახადის შემოღება, რადგანაც გლეხობაში დღევანდელი ფული არ ინახება, არ მოიპოვება. მთავრობა დაინტერესებულია, რომ შორეულ რაიონებიდან გადასახადი ფულით მიიღოს, მაგრამ ეს ძნელი საქმეა ამ რაიონში ვაჭრობა-მრეწველობის განუვითარებლობის გამო. რკინის გზაზე მდებარე რაიონებში-კი ფულის გადასახადის აღება იოლია. ადგილების, მაზრების დაკითხვის და ყველა ამ მოსაზრებათა მხედველობაში მიღების შემდეგ მთავრობას განზრახული აქვს ზოგიერთ რაიონებში გადასახადი ნატურით, ხორბლეულობით აილოს და ზოგიერთში ფულით.

რაიონები

ფულადი გადასახადის შემოღება განზრახულია ბორჩალოს მაზრაში, ახალქალაქის, რაჭის, სენაკის, ქუთაისის და შორაპნის მაზრაში მთლიანად. ტფილისის მაზრაში, წალკის რაიონის გამოკლებით, ბორჯომის რაიონში და ატენის თემში (გორის მაზრა), რედუტ-კალეს რაიონში.

აჭარაში. ქედი, ხულო და ჩახათი.

დანარჩენ რაიონებში განზრახულია მხოლოდ ნატურალური გადასახადის აკრება. ფულად რაიონებში ფულის ნაცვლად ნატურით, ხორბლით გადასახადს არ მივიღებთ. იმ რაიონებში კი, სადაც გადასახადის მოკრეფა განზრახულია ნატურით, შეიძლება ხორბლეულობის ნაცვლად გადასახადის ფულად აღება.

კ ა მ ა თ ი.

ამხ. ერქომაიშვილის მოხსენების გარშემო იხსნება გაცხოველებული და საქმიანი ხასიათის კამათი.

კ. ცინცაძე იძლევა შეკითხვებს და მიზანშეწონილად სთვლის მხოლოდ ფულადი გადასახადის შემოღებას.

გ. ლაფანაშვილი ფიქრობს, რომ უმჯობესია დუშეთის მაზრაში გადასახადის ფულით აკრეფა.

დათიკო ლორთქიფანიძეს კი საჭიროთ მიაჩნია ქუთაისის მაზრაში გადასახადის როგორც ნატურით, ისე ფულით აკრეფა.

კოტე ცინცაძე ამბობს, რომ სამწუხაროდ საკითხი ნაკლებათ შუქდებოდა პრესაში, განსაკუთრებით ქართულში. საკითხი კი მეტად სერიოზულია... მისი აზრით გადასახადის ხორბლეულობით აკრეფაში ხშირად მეტი დაიხარჯება, ვიდრე თვით გადასახადი ღირს, განსაკუთრებით თუ მივიღებთ მხედველობაში გადასახადის ამკრეფი აპარატის მოუწყობლობას და იმ რაიონის რკინის-გზიდან დაშორებას, სადაც განზრახულია გადასახადის ნატურით აღება. გლეხობასაც გაუჭირდება ხორბლეულობის მიმღებ პუნქტზე მიტანა, უმჯობესია გადასახადის ნატურით აღება სრულებით მოსპობილ იქნას და გადავიდეთ გადასახადის მხოლოდ ფულით აკრეფაზე.

შემდეგ გამოსული ორატორების უმრავლესობა იცავს ამ აზრს.

ამხ. გურგენიძე, ვ. კალანდაძე და ს. მამულია სახელმწიფოებრივი მოსაზრებით და პრაქტიკული გამოცდილებით ამტკიცებენ ერთიანი ფულადი სისტემის უმჯობესობას. მათი აზრით გლეხობაც უფრო მიჩვეულია გადასახადის ფულით აღებას.

ამავე აზრს იცავს ამხ. შამშე **ლეჟავა.**

ამხ. **დ. ნასარიძეს** უმჯობესათ მიაჩნია ორმაგი სისტემის დატოვება, როგორც გარდამავალი საფეხურის, მხოლოდ ფულადი გადასახადის სისტემის შემოსაღებლად.

მომხსენებლის საბოლოო სიტყვის შემდეგ მიღებულ იქნა თეზისები მთლიან სასოფლო სამეურნეო გადასახადის შესახებ, რომლითაც მთელ საბჭოთა საქართველოში მიღებულია მხოლოდ ფულადი გადასახადი.

კომინტერნის აღმასკომის პლენუმი

(21 ივნისის დილის სხდომა).

ამხ. ბუხარინის მოხსენება კომინტერნის პროგრამის შესახებ.

კომინტერნის აღმასკომის პლენუმის 21 ივნისის დილის სხდომაზე მოსმენილ იქმნა ამხ. **ბუხარინის** მოხსენება კომინტერნის პროგრამის შესახებ.

სექციების პროგრამის საერთო ნაწილი.

მომხსენებელის სიტყვით კომინტერნის და ცალკე სექციების პროგრამის საერთო ნაწილი მეოთხე კონგრესის დადგენილებების თანახმად უნდა შესდგებოდეს შემდეგი ნაწილებიდან: კაპიტალიზმის ანალიზი, იმპერიალიზმის განვითარების ანალიზი, პროგრამა-მაქსიმუმის ფორმულიროვკა, გარდამავალი მოთხოვნილებების ფორმულიროვკა და ნაწილობრივი მოთხოვნილებების დასაბუთება. „ჩვენ,—ამბობს ამხ. ბუხარინი,—გვაქვს პროგრამის სამი პროექტი: ჩემი, გერმანიის პარტიის და ვარგასი. ამ სამ პროექტს შორის დიდი თეორეტიული უთანხმოება არის. მეოთხე კონგრესის შემდეგ კომინტერნის და მისი სექციების ცხოვრებაში მოხდა მთელი რიგი ამბებისა, რომლებიც მოითხოვენ ცალკე მუხლების გამოყოფას. ასეთია: ნაციონალური საკითხი, მსოფლმხედველობის საკითხი.

საჭიროა მტკიცე ფორმულიროვკა.

პროგრამის საერთო ნაწილში საჭიროა მტკიცე ფორმულიროვკა გაუკეთოთ ჩვენს მარქსისტულ, მატერიალისტურ მსოფლმხედველობას და შევეხოთ ჩვენს და მოკიდებულებას სარწმუნოებისადმი. საჭიროა მიუდგეთ ეგრედ წოდებულ წითელი იმპერიალიზმის, პროლეტარული სახელმწიფოების ბურჟუაზიულ სახელმწიფოებთან კავშირის შესაძლებლობას, მუშათა კაპიტალიზმის და იმპერიალიზმის საკითხებს, რომლებიც მტკიცედ არიან ერთი მეორესთან დაკავშირებული. ჩვენი პროგრამა უნდა შეიცავდეს სახელმძღვანელო ხაზს როგორც თანამედროვე, ისე მომავალი პერიოდისათვის. ეს საკითხები გაშუქებული უნდა იქნან პროგრამის საერთო ნაწილში. პროლეტარულ სახელმწიფოების მხრივ სხვა ქვეყნების პროლეტარიატისათვის დახმარების გაწევის საკითხი მომავალში არ უნდა დარჩეს მხოლოდ თეორეტიული საკითხი.

ასევე სდგას პროლეტარულ სახელმწიფოების ბურჟუაზიულ სახელმწიფოებთან კავშირის საკითხიც. საბჭოთა რუსეთი, მაგალითად, მხარს უჭერდა ოსმალეთს ლოზანაში და არც ერთ კომუნისტურ პარტიას ჩვენთვის არ უთქვამს საყვედური.

მასების მიმხრობა.

ჩვენ იძულებული ვართ საგრძნობათ გავადიდოთ ჩვენი ჰორიზონტი. ამის მაგალითი შეიძლება დავინახოთ პროლეტარიატსა და გლეხობას შორის ურთიერთობის საკითხში. პირველათ ჩვენ შევქმენით რჩეულთა პარტიები, შემდეგ ეს პარტიები გადავაქციეთ მასიურ პარტიებათ, ახლა გვსურს ჩვენს მხარეზე გადმოვიბიროთ სოციალ-დემოკრატიის მომხრეები. პროლეტარული სახელმწიფოს შექმნისთანავე ისმება კითხვა იმის შესახებ, უნდა იყოს თუ არა ის ყველა დაჩაგრულთა ცენტრი.

მუშური იმპერიალიზმი.

გადავდივარ მუშური იმპერიალიზმის საკითხზე. იმპერიალიზმის ამოცანაა—შეიქმნას ისეთი პირობები, როცა მთელი მსოფლიო დაემორჩილება ფინანსიურ-კაპიტალისტური ოლიგარხიის ბატონობას. ცნება—„მუშური იმპერიალიზმი“, როგორც სჩანს, ეწინააღმდეგება ამას. ეს თერმინოლოგია დიდ არევ-დარევას შეიტანდა მუშათა რიგებში. სოციალიზმის გაფართოება სულ სხვას ნიშნავს.

ჩვენი პროგრამის საერთო ნაწილში შეტანილი უნდა იქნას პროლეტარულ სახელმწიფოების პრობლემა, როგორც ყველა დაჩაგრულთა მიმზიდველობის ცენტრის. მუშურ-გლეხური მთავრობის საკითხის შესახებ. ჩვენ უნდა ვთქვათ, რომ წმინდა გლეხური მთავრობა ვერ იქნება დღეგრძელი, ბრძოლა ბურჟუაზიასა და გლეხობას შორის საბოლოო ანგარიშით არის ბრძოლა გლეხობაზე გავლენისათვის.

პრაქტიკული წინადადებანი.

მე შემომაქვს შემდეგი პრაქტიკული წინადადება: ყველა პარტიებმა უნდა წარუდგინონ კომინტერნს თითეული ქვეყნის მდგომარეობის ანალიზი მიმდინარე პერიოდში, თითეულმა პარტიამ ფორმულიროვკა უნდა გაუკეთოს თავის ნაწილობრივ მოთხოვნილებებს. პროგრამაში მიღებული, გამოცდილების მიხედვით დასაბუთებული უნდა იქნას ჩვენი კამპანია ერთიანი ფრონტის სარგებლოდ, პარტიებმა უნდა წარმოადგინონ მასალები ნაციონალური საკითხის შესახებ.

კამათი კლარა ცეტკინის მოხსენების გარშემო.

კამათში კლარა ცეტკინის მოხსენების გარშემო მონაწილეობას იღებენ სხვა და სხვა ამხანაგები, რომლებიც აშუქებენ ფაშისტურ მოძრაობას სხვა და სხვა ქვეყნებში.

ამხ. რადეკი. თავის სიტყვაში ამბობს: „კლარა ცეტკინის მოხსენების დროს ჩემს წინ იდგა სახე შლაგეტერისა, რომელიც ოკუპანტებმა დახვრიტეს რურში. გერმანიის ნაციონალიზმის ამ მსხვერპლის ბედი ბევრ რამეს ეუბნება გერმანიის ხალხს. გერმანია დაამარცხეს და წამოაჩოქეს, მხოლოდ სულელებს შეეძლო ეფიქრა, რომ ანტანტა შეიწყალებს გერმანიის ხალხს. ამ დროს აღმოსავლეთში ანტანტის წინააღმდეგ 14 ფრონტზე სასტიკ ბრძოლას აწარმოებდა დამშეული, განაწამები ხალხი, ეს იყო საბჭოთა რუსეთი. ერთი ფრონტი შექმნეს გერმანელმა ოფიცრებმა და ჯარისკაცებმა, მათ რიცხვში იბრძოდა შლაგეტერი.

კლ. ცეტკინი თავის საბოლოო სიტყვაში აღნიშნავს, რომ ფაშიზმმა ვერ შეასრულა ვერც ერთი თავისი დაპირება სოციალურ დარგში. ფაშიზმის პროგრამისა და პრაქტიკის შედარებით ჩვენ დავრწმუნდებით, რომ ის იდეოლოგიურად გაიხრწნა, რასაც პოლიტიკურად გაკოტრება უნდა მოჰყვეს. მაგრამ ფაშიზმის იდეოლოგიური გახრწნა არ ნიშნავს იმას, რომ მისი სამხედრო ბატონობა დაუყოვნებლივ დაემხობა. იტალიის რევოლიუციონურ პროლეტარიატს ჯერ კიდევ მძიმე ბრძოლა მოელის. კომუნისტურმა ინტერნაციონალმა უნდა უხელმძღვანელოს ყველა იმ ჯგუფებს, რომლებიც ვერ ურიგდებიან ბურჟუაზიის ბატონობას.

ამ მნიშვნელობით ყველაზე სერიოზული და სასარგებლოა მუშურ-გლეხური მთავრობის ლოზუნგი.

რადიო-დეპეშები

რუსეთი და ინგლისი

ინგლისის პრესის გამოძახილი.

ლონდონი 20 ივნისი. ინგლისის პრესა ერთხმად აღიარებს რომ, ბრიტანეთის პასუხის შემდეგ, მიწერ-მოწერა რუსეთს და ინგლისს შორის კონფლიქტის გამო დასრულებულად უნდა ჩაითვალოს.

გაზ. „მორნინგ პოსტი" არავითარ კომენტარიებს არ იძლევა დღეს ბრიტანეთის ნოტის გამო, რაც ამტკიცებს შეურიგებელ კონსერვატორთა სასოწარკვეთილებას.

გაზ. „მანჩესტერ გარდიანი" აგონებს კერზონს, რომ გაუგებრობა, რომელიც ეხება ბრიტანეთის ახალ მოთხოვნილებებს ინგლისელ მოქალაქეთათვის ზარალის ანაზღაურების შესახებ, სინამდვილეში გამოწვეულია მისი 10 მაისის მემორანდუმით, რომელშიაც ის მოითხოვდა ბრიტანეთის ქვეშევრდომთათვის რევოლიუციის დროს მიყენებულ ზარალის ანაზღაურებას.

გაზ. „დეილი ჰერალდი" აღნიშნავს, მუშათა პარტიის წრეებში შემჩნეულ აღფრთოვანებას იმ სახელმწიფოებრივი სიბრძნის გამო, რომელიც გამოიჩინა საბჭოთა მთავრობის წარმომადგენელმა კრასინმა.

რუსეთის ცნობის შანსები იზრდება.

ლონდონი. 18 ივნისი. რუსეთის დეპეშათა სააგენტოს კორესპონდენტთან საუბრის დროს, ლანსბერიმ განაცხადა: „რუსეთ ინგლისის კონფლიქტის მშვიდობიანად გადაწყვეტის გამო, საბჭოთა რუსეთის ცნობის შანსები ფაქტიურად გაძლიერდა". საგარეო პოლიტიკის საკითხების მცოდნე, მუშათა პარტიის წევრმა, მორელმა, განაცხადა: „საჭიროა კონფერენციის მოწვევა ყველა სადაო საკითხების გამოსარკვევად. მე ამ საკითხს დავსვამ პარლამენტში, და მუშათა კლასი ამ მხრივ გავლენას მოახდენს მთავრობაზე".

გადატრიალება ბულგარეთში

ახალი მთავრობის მოქმედება.

ვენა. 20 ივნისი. ბულგარეთის მთავრობის მდგომარეობა რამოდენიმედ განმტკიცდა. ნაციონალური კრების არჩევნები მოხდება სექტემბრის ბოლოს, არჩევნების სისტემა ჯერ კიდევ არ არის დაწესებული.

ახალმა მთავრობამ გააუქმა სტამბულინსკის მიერ გამოცემული კანონი შრომის ბეგარის შესახებ.

ახალ მთავრობაში ძლიერდება რეაქციონური ტენდენციები. „რაბოტნიჩესკი ვესტნიკ"-ის ცნობით, მთავრობა ცდილობს პროვოკაციის ანკესზე წამოაგოს პროლეტარიატი, ადგენს რა თეთრ გვარდიას; აკრძალულია კომპარტიის კრებები, გაძლიერებულია პრესის ცენზურა.

მენშევიკების პოზიცია.

ვენა. 22 ივნისი. **მენშევიკები იცავენ ახალი მთავრობის პოლიტიკას, რომელიც ემხრობა სოციალ-დემოკრატების მონაწილეობას მთავრობაში, რათა დაამტკიცოს თავისი ლიბერალიზმი.**

სოფიის ქალაქის თავად დანიშნულია სოციალ-დემოკრატი პლასტაკოვი.

საფრანგეთი იცავს ახალ მთავრობას.

ვენა. 22 ივნისი. სოფიაში მიღებულია პუანკარეს დეპეშა, რომელშიაც ის აღნიშნავს ახალი მთავრობის მშვიდობიანობის მოყვარულობას და აცხადებს, რომ საფრანგეთი მხარს დაუჭერს მის მშვიდობიან პოლიტიკას.

სამხრეთ-სლავიის პოლიტიკა.

ვენა. 22 ივნისი. პოლიტიკურმა განცალკევებამ, რომელშიაც ჩავარდა სამხრეთ-სლავია მცირე ანტანტის სახელმწიფოების ბულგარეთის გადატრიალებისადმი დამოკიდებულების საკითხი, აიძულა ნიკიშიჩი უარი ეთქვა თავის პოზიციაზე ამ საკითხში. სკუპშჩინის სხდომაზე დემოკრატების, გლეხთა პარტიის და სახალხო პარტიის წარმომადგენლები მოითხოვდენ სამხედრო გამოსვლას ბულგარეთის წინააღმდეგ. ნიკიშიჩმა გადაჭრით უარჰყო მოთხოვნილება და განაცხადა, რომ ეს არ შეიძლება გამართლებული იქნეს რაიმე საბუთით. „ინტერვენცია, სთქვა ნიკიშიჩმა შესაძლებელია მხოლოდ მაშინ, თუ ბულგარეთის ტერიტორიაზე შესდგება მოხალისეთა რაზმები სამხრეთ-სლავიის წინააღმდეგ.

უნგრეთის რეაქციონერები და გადატრიალება.

ვენა. 22 ივნისი. სავსებით გამოირკვა, რომ მჭიდრო კავშირი არსებობდა უნგრეთის რეაქციონერებს და ბულგარეთის გადატრიალების მონაწილეებს შორის. უნგრეთის სამხედრო წრეებმა დიდი როლი ითამაშეს გადატრიალების მომზადებაში ეს გადატრიალება, უსათუოდ, გამოიწვევს ცვლილებებს უნგრეთის საგარეო პოლიტიკაში.

დამახასიათებელია ის, რომ სოციალ-დემოკრატიული გაზეთი ესალმება ამ გადატრიალებას, ხოლო გაზ. „ვინერ არბეიტერ-ცეიტუნგ"-ი გადატრიალებას უწოდებს რეაქციის დასაწყისს.

რურის ოლქის ოკუპაცია

საფრანგეთის პასუხი.

ბერლინი. 21 ივნისი. „ეკო დე პარი"-ს ცნობით, საფრანგეთი, კერზონის ნოტის პასუხში, ლონდონის მოლოდინის საწინააღმდეგოდ, მოითხოვს პასიური წინააღმდეგობის შეწყვეტას რურში, და აგრეთვე იმასაც, რომ საზოგადოებრივი კრედიტი რომელიც მიდის კერძო მრეწველობის ხელის შესაწყობად და უმუშევართათვის დახმარების გასაწევად, შეწყვეტილ იქნეს. საფრანგეთი უარს ამბობს საკონტრიბუციო ღონისძიებათა შეცვლის საკითხის განხილვაზე იმ დრომდი, სანამ გერმანია საკონტრიბუციო გადასახადებს არ შეიტანს.

შიმშილის ბლოკადა.

ბერლინი. 21 ივნისი. შიმშილის ბლოკადა მძიმე უღლად აწევს რურის მცხოვრებლებს. საკონტროლო სადგურებთან თავს იყრიან ვაგონები რამოდენიმე ასი ათას ლიტრა რძით. სამრეწველო რაიონის რამდენიმე ათასი ბავშვები სრულებით მოკლებული არიან რძეს. დორტმუნდის ახლოს ფრანგებმა ხელში ჩაიგდეს მთელი მატარებელი რძით, გადმოიღეს იქიდგან ყველა ბურბლები და დაამტვრიეს.

„ჩვენც ეს გვინდა".

ბერლინი. 21 ივნისი. საფრანგეთის ხელისუფლებისათვის გაკეთებულ გაფრთხილებაზე, რომ **საფრანგეთის მიერ მიღებული ზომები შიმშილს გამოიწვევს რურში, საფრანგეთის სამხედრო ხელისუფლებამ უპასუხა „ჩვენც ეს გვინდაო".**

გამოსახლება.

ბერლინი. 21 ივნისი. რურში საკუთარ ბინებიდან გამოასახლეს რამდენიმე ასი რკინისგზელი. გამოსახლებაში მონაწილეობას იღებდენ ადგილობრივი ჯარები.

ბერლინი. 21 ივნისი. ვოლფის სააგენტო ბერლინიდან იტყობინება, რომ პრეზიდენტმა ებერტმა განკარგულება მოახდინა რურიდან გამოსახლებულ გერმანელთა დაბინავების შესახებ; გამოსახლებულთა რიცხვი ყოველდღე იზრდება.

ბალდვინის აზრი რურის ავანტიურაზე.

ბერლინი. 21 ივნისი. მუშათა პარტიის დელეგატების მიღების დროს, ბალდვინმა განაცხადა, რომ რურის საკითხი, რომლის გადაწყვეტა მთელი ევროპის საარსებო საქმეს შეადგენს, დამღუპველი გავლენა აქვს ინგლისის მრეწველობაზედაც. პრემიერმა დელეგატებს აგრძნობინა, რომ ყოველივე ღონეს იხმარს, რათა რურის საკითხი მორიგებით გადასწყდეს.

მძარცველთა გულმოდგინება.

ბერლინი. 21 ივნისი. „ტაიმსის" კიოლნელი კორესპონდენტი სწერს: იმ გულმოდგინეობამ, რომელიც ფრანგებმა გამოიჩინეს სარკინისგზო მასალის დატაცებაში და ახალ სარკინისგზო შტოების მითვისებაში, მთლად გაანადგურა ფრანგების ხელში გადასული სარკინისგზო შტო. რელსები აყრილ-დაყრილია და მთელი მოძრავი შემადგენლობა გამოუსადეგარია. რურის ოკუპაცია და რკინის გზების მართვა გამგეობა ფრანგებს აუარებელი ფული უჯდებათ; ასევეა საბაჟოების საქმეშიაც, რომლის შემოსავალი მოსამსახურეთა ჯამაგირებსაც ვერ ჰფარავს.

რურის ამბები

საფრანგეთის პასუხი.

ბერლინი. 22 ივნისი. „ვესტმინსტერ გაზეტ"-ის ცნობით, **პუანკარეს პასუხის პროექტი ბრიტანეთის ნოტაზე გადაცემული იქნება საიდუმლოდ ლონდონში. გაზეთის ცნობების მიხედვით, ნოტაში გამოთქმულია შეთანხმების მიღწევის აუცილებლობა.** საფრანგეთი მზად არის შესცვალოს რურის სამხედრო ოკუპაცია მშვიდობიანი ოკუპაციით და გამოიწვიოს თავისი ჯარები რურიდან, მაგრამ იმ პირობით, თუ გერმანია შესწყვეტს პასიურ წინააღმდეგობას.

გაურბიან პირდაპირ პასუხს.

ლონდონი. 22 ივნისი. ბალდვინმა თემთა პალატაში მიცემულ შეკითხვაზე განაცხადა, რომ **საფრანგეთის მთავრობის პასუხი ბრიტანეთის უკანასკნელ ნოტაზე კონტრიბუციის და რურის ოკუპაციის შესახებ ჯერ კიდევ არ არის მიღებული.** პრემიერმა განაცხადა, რომ ბრიტანეთის მთავრობის არ მოეპოვება დამამტკიცებელი საბუთი იმის შესახებ, რომ საფრანგეთის ხელისუფლება რურში აჩერებს იმ მატარებლებს, რომლებითაც იგზავნება სურსათი დაკავებულ რაიონებში.

ლოზანას კონფერენცია

ოსმალეთის დეკლარაცია.

ანგორა. 19 ივნისი. ლოზანას კონფერენციაზე შექმნილ გაურკვეველ მდგომარეობის გამო, რადგანაც შეუძლებელია გადაჭრა საკითხისა, თუ როგორი ვალიუტით უნდა იქნეს გადახდილი ოსმალეთის ვალის პროცენტები,—ოსმალეთის კომისართა საბჭოს თავმჯდომარემ გამოაქვეყნა დეკლარაცია, რომელშიაც აღნიშნავს, რომ ოსმალეთის დელეგაციის მოქმედება ლოზანას კონფერენციაზე გამოწვეულია იმით, რომ **ოსმალეთი ცდილობს მიაღწიოს ისეთ პირობების შესრულებას, რომელიც უზრუნველყოფს ოსმალეთის დამოუკიდებლობას.** დეკლარაციაში გამოთქმულია რწმენა, რომ მსოფლიოს საზოგადოებრივი აზრი მიუდგომლად შეაფასებს დღევანდელ მდგომარეობას და კონფერენციის შესაძლებელ ჩაშლისათვის მთელ პასუხისმგებლობას დააკისრებს დიდ სახელმწიფოებს, რომელნიც უყარნახებენ ოსმალეთს არა სამართლიან და შეუსრულებელ პირობებს. **ოსმალეთისათვის სრულიად მიუღებელია პირობები, რომელიც ლახავს მის ეკონომიურ დამოუკიდებლობას, რადგან ის ნიშნავს აგრეთვე პოლიტიკურ დამოუკიდებლობის შელახვასაც.** ოსმალეთის მთავრობის და საზღვარ-გარეთის საზოგადოებათა შორის წარმოებული მოლაპარაკების დადებითი შედეგები მოწმობს იმას, რომ **ოსმალეთს სურს მიაღწიოს შეთანხმებას სახელმწიფოებთან.** დეკლარაციაში ნათქვამია, რომ ოსმალეთის ხალხი გულწრფელად მიილტვის მშვიდობიანობისაკენ, მაგრამ მან გადასწყვიტა, არ დაემორჩილოს უკანონო და უსამართლო მოთხოვნილებებს და მზად არის გადაიტანოს კიდევ მეტი შევიწროება უკეთესი მერმისისათვის.

ოსმალეთის ვალის პროცენტების საკითხის გამო დეკლარაციაში ნათქვამია, რომ ოსმალეთს შეუძლია გადაიხადოს მხოლოდ ქაღალდის ფრანკებით და სხვაგვარად საკითხის გადაჭრა მას მიაჩნია უკანონოდ და წინასწარ უარყოფს მას.

ახლო აღმოსავლეთში

რეპრესიები სირიაში.

ანგორა. 17 ივნისი. „ენი გიუნ"-ი იუწყება, რომ სირიაში, გენერალ ვეიგანდის ჩამოსვლისთანავე, დაიწყო არაბეთის ნაციონალისტთა მიმართ დევნის პოლიტიკა.

საარჩევნო კამპანია.

ანგორა. 17 ივნისი. მეჯლისის საარჩევნო კამპანია დაიწყო. ჩატალჯასა და ბერექეთში ქემალისტების კანდიდატები აირჩიეს. „ჰაკიმიეტ მილის"-ი სასტიკად ილაშქრებს დამოუკიდებელ სიების წამოყენების წინააღმდეგ და უწინასწარმეტყველებს, რომ ასეთი სიებით ფონს ვერ გავლენო.

სმირნის განახლება.

ანგორა. 17 ივნისი. სმირნიდან დაბრუნებული იუსუფ ნადი „ენი-გიუნ"-ში აღნიშნავს სმირნის ოლქის განახლებას და კერძოდ სასოფლო-სამეურნეო იარაღების მოთხოვნილების ზრდას. დემოკრატიული მოძრაობა ძლიერდება. ბოლოს მოუწოდებს, რათა გააძლიერონ იქ ეკონომიური შემოქმედება.

რაუფ-ბეის განცხადება

ანგორა 20 ივნისი. პრესის წარმომადგენლებთან საუბრის დროს, რაუფ ბეიმ განაცხადა, რომ **ოსმალეთი წავიდა ყველა შესაძლებელ დათმობაზე და ის მეტს ველარაფერს დასთმობს.** ოსმალეთი არ დათანხმდება ისეთ პირობებზე, რომელიც ეწინააღმდეგება მის ეკონომიურ დამოუკიდებლობას.

სამართლიანი მოთხოვნილება

ანგორა 20 ივნისი. ოსმალეთის ფინანსთა კომისარის განცხადების თანახმად, საფრანგეთს არ აქვს უფლება მოსთხოვოს ოსმალეთს პროცენტების ოქროთი გადახდა მაშინ, როდესაც თვითონ უარს ამბობს გადაიხადოს თავისი ვალები ფრანკებითაც კი.

ინგლისის ჰაეროპლანები გალიპოლზე.

ანგორა 20 ივნისი. იტყობინებიან, რომ გალიპოლზე გამოჩნდენ ინგლისის ჰაეროპლანები.

ეტნას ამოხეთქა

ლველფი.

რომი. 22 ივნისი. ლველფის მთავარი ნაკადი ორ ტოტად გაიყო, ერთი მათგანი გარს ეხვევა ლინგუალიესს, ხოლო მეორე კიდევ ნაკადათ გაიყო ნაკადის სიმაღლე უდრის 10—30 მეტრს საშუალო სისწრაფე—15 მეტრი საათში. ლველფის ნაკადი მიწის ზედაპირზე გამაგრების შემდეგ ნელა მიმდინარეობს. **თუ მას გზაზე რამე დაბრკოლება შეხვდა, ლველფი იწყებს დენას არა მარტო დაბლობისაკენ, არამედ იწევს ზევითაც.** ასე მაგ. კასტილლიონის მახლობლად ადგილი ჰქონდა ასეთს შემთხვევას. სადგურის მახლობლად იმყოფებოდა ახალი დიდი ქვის სახლი. სახლმა გაუძლო ლველფის მოვარდნას, მაგრამ მან ზევით აიწია და ფანჯრებში იწყო დენა, სანამ სახურავს არ მიაღწია. კედლები მაგრად იდგა, მაგრამ სახურავმა ველარ გაუძლო ზედდაწოლას და ჩაინგრა. ლველფმა აღავსო მთელი სახლი და სრულიად გააცამტვერა იგი.

სად. კასტილიონი, რომელიც სრულიად დაფარა ლველფმა, მდებარეობს ქალაქიდან 4 მილის მანძილზე. ლველფის ნაკადი წავიდა ქალაქის მიმართულებით. დენის სისწრაფის მიხედვით ლველფი მიაღწევს ქალაქს არა უადრეს რამდენიმე დღისა. თუ წინანდელ ამოხეთქათა დაგვარად, ეტნას ამოხეთქა გაგრძელდა 10 დღე, ქალაქი დაღუპვისაგან გადარჩება, **რადგან ამოხეთქა უკვე მე-5-ე დღე გრძელდება. მე-20-ე საუკუნის განმავლობაში ეს მეხუთე ამოხეთქაა. ამ უკანასკნელი 200 წლის განმავლობაში ეტნას არ გამოუჩენია ასეთი აქტივობა.**

პროფესორმა პონტემ, ექსპერტ—„ვულკანოლოგმა" ეტნას მცოდნემ განუცხადა გაზ. „ნიუ-იორკ-გერალდის" თანამშრომელს, რომ ლველფის ამოხეთქა ძველებური ინტენსიობით, არის „ბუნების არაჩვეულებრივი ჯიუტობაო".

ირგვლივ უდაბნოა.

რომი. 23 ივნისი. უბედურებისაგან მიყენებული ზარალი აურაცხელია. ეტნას ყველა კალთები ნიადაგის არაჩვეულებრივი სინოყიერის გამო, რადგან მას შიგნიდან ათბობდა ვულკანის ტემპერატურა, ინტენსიურად მუშავდებოდა. **ეხლა დიდძალი ვენახები და ნაყოფიერი მინდვრები დაფარულია ლველფით.** ლველფის ნაკადის ორივე მხრით რამდენსამე მილის მანძილზე მწვანეულობა სრულიად ამომწვარია. **ხეები ვერ უძლებენ სიცხეს სკდებიან და ხმებიან ლველფის მოახლოვებამდე.** ლველფის ნაკადის ზემოთ [illegible] ორთქლის სქელი კეცა.

ცეცხლის რგოლში.

რომი. 22 ივნისი. ქალ. ლინგუალიესსა რაღაც სასწაულით ჯერ კიდევ დაცულია, მაგრამ იმ შემთხვევაშიაც კი, თუ მას ასცდება ლველფის ნაკადი, მას დაფარავს ფერფლი, რომელიც წვიმასავით ეყრება ქალაქს.

ქალაქს ორივე მხრივ ცეცხლის ნაკადი ჩაუდის. მიწა ზანზალებს ხშირი აფეთქების გამო. **ზღვა, სადაც ლველფი ჩაედინება, სდუღს და კაფდება** გონება დაკარგული მცხოვრებნი სცდილობენ გადაარჩინონ თავისი ავლადიდების უკანასკნელი ნაშთები. აუტანელი სიცხეა და ძალიან აშრობს კანს, მრავალი ხალხი დაბრმავდა. გაცხელებული ფერფლი სწვავს ტანთსაცმელს და კანს.

დახმარება

რომი 22 ივნისი ლინგუალიესში გაემგზავრა თითქმის მთელი მთავრობა მუსოლინის მეთაურობით. რომში მყოფი ამერიკელი ელჩი აგრეთვე გაემგზავრა უბედურების ადგილას, თავის ატაშეს თანხლებით. ამერიკა გაუწევს დიდ დახმარებას დაზარალებულ მცხოვრებთ, მით უმეტეს, რომ უკანასკნელ ხანებში სიცილიიდან შეერთებულ შტატებში გადასახლდა 10.000-დე მცხოვრები.

სხვადასხვა ამბები

საფრანგეთი

რადიკალები ოპოზიციაში ჩაუდგენ პუანკარეს.

ბერლინი. 22 ივნისი. საფრანგეთის რადიკალურ პარტიის აღმასრულებელი კომიტეტი მოითხოვს თავის წევრების სარროს, ლაფონის და სხვების კაბინეტიდან გამოსვლას, რადგან მთავრობა სავსებით ემხრობა მემარჯვენე პარტიებს, რომელთაც უარი განაცხადეს რესპუბლიკანურ პოლიტიკაზე. ყველა რადიკალები, რომელთაც ხმა მისცეს პუანკარეს, აღმასრულებელმა კომიტეტმა გამორიცხა პარტიიდან

პოლონეთი

ფინანსიური კატასტროფა.

ბერლინი. 22 ივნისი. პოლონეთის მარკის 50 პროცენტით დაცემის გამო, ფინანსთა და ვაჭრობის მინისტრები გადადგენ. ვარშავის და პოლონეთის სხვა ბირჟები დახურულია. მარკის დაცემას არ აქვს კავშირი გერმანიის მარკის კურსის დაცემასთან.

ბალკანეთი

სამხრეთ-სლავიის ჯარების კონცენტრაცია.

პარიზი. 22 ივნისი. ბულგარეთის გარეშე საქმეთა მინისტრის ცნობით, სამხრეთ სლავია თავს უყრის ჯარებს ბულგარეთის საზღვრებთან.

ლტოლვა მოსკოვისაკენ.

პარიზი. 22 ივნისი. ბელგრადის გაზეთები, მათ შორის „ვრემია"-ც, აუცილებლად სთვლიან მოსკოვთან დაახლოვებას.

ბულგარეთის არმიის შემცირება.

რომი. 22 ივნისი. მოკავშირეთა სამხედრო კომისიამ სოფიაში დაითანხმა ახალი მთავრობა ბულგარეთის არმიის იმ რაოდენობით შემცირებაზე, რომელიც აღნიშნულია საზავო ხელშეკრულებაში.

გერმანია

საერთო მდგომარეობა

ბერლინი 20 ივნისი. **გერმანიის მარკა კატასტროფიულად ეცემა და იქამდის მივიდა, რომ ერთი დოლარი ღირს 150 000 მარკა.** პოლიტიკური მდგომარეობა გერმანიაში მეტად დაძაბულია. სიძვირის საშინელი ზრდა მუშების განწყობილებაზე მოქმედობს. ამას გარდა მოსავალს ცუდი პირი უჩანს.

პროფკავშირების და სახელმწიფო წარმოებების ხელმძღვანელ ორგანოების პირველი ოფიციალური თათბირი მთავრობასთან ერთად შეუდგა შრომის ხელფასის გადიდების საკითხის გამოკვლევას. მიღებულ ცნობების თანახმად, პროფკავშირები წინადადებას იძლევიან განსაზღვრულ იქნეს რეალური შრომის ხელფასის მტკიცე მინიმუმი, რომელიც ავტომატიურად უნდა გადიდდეს სიძვირის ზრდასთან ერთად. მაგრამ ეს მინიმუმი მაინც ნაკლები იქნება იმ მინიმუმზე, რომელიც ომამდი არსებობდა.

გაზეთების ცნობები მოსალოდნელ საერთო გაფიცვების შესახებ ბერლინში, არ გამართლდა. მიუხედავად ამისა მუშათა მასებში უკიდურესი აღელვება სუფევს.

ინგლისი

უმუშევარი ქალები.

ლონდონი. 19 ივნისი. იმის გამო, რომ შრომის ხელფასის სიდიდის გამო ამ ბოლო დროს ძალიან გაიზარდა ქალების ფაბრიკებისაკენ ლტოლვა და აგრეთვე იმის გამოც, რომ ომის შემდეგ მეტად შემცირდა შინაურ მოსამსახურეთა რიცხვი, ინგლისის გაზეთები იმ აზრს გამოსთქვამენ, რომ საჭიროა უმუშევარ ქალების იძულებით ჩარიცხვა შინაურ მოსამსახურეებათ; წინააღმდეგ შემთხვევაში მათ უნდა მოესპოთ ფულით დახმარება. შრომის სამინისტროს მიერ მოხდენილმა შინაურ მოსამსახურეთა მდგომარეობის გასინჯვამ გამოარკვია, რომ ამ უკანასკნელთა შრომის პირობები მეტად მძიმეა.

კოოპერატივების მოსამსახურეთა გაფიცვა.

ლონდონი 19 ივნისი. მიუხედავათ ტრედიუნიონების პრესის ჩარევისა რომელმაც შუამავლის როლის თამაში მოინდომა, **ინგლისის კოოპერატივების მოსამსახურეთა გაფიცვა გრძელდება.** მუშათა მასებში იზრდება თანაგრძნობა გაფიცულთა მიმართ.

სპარსეთი.

ნავთის კონცესიები.

ლონდონი 19 ივნისი. სპარსეთიდან მიღებულ ცნობების თანახმად, მეჯლისმა დაავალა მთავრობას გააგრძელოს მოლაპარაკება ამერიკის საზოგადოებასთან ნავთის კონცესიების გაცემის შესახებ. სპარსეთის მთავრობა ამერიკის საზოგადოებისაგან გასამრჯელოს სახით მიიღებს 10 მილიონ დოლარს.

ბელგია.

ბელგიის კომუნისტების საქმე

პარიზი, 19 ივნისი ბელგიის სასამართლოში იწყება, ამ ჟამად ციხეში მყოფ, ბელგიის კომუნისტების საქმის გარჩევა.

წითელ პროფკავშირებში

რუსეთი.

ახალი ორთქლმავლები.

ხარკოვი. 19 ივნისი. ლუგანის ორთქლმავალთა დამმზადებელმა ქარხანამ სამი ახალი ორთქლმავალი გამოუშვა—ხარკოვის ქარხანამ—2; ორივე ქარხანაში შეაკეთეს 13 ორთქლმავალი.

ვიტებსკი. 19 ივნისი. საგუბერნიო კავშირმა მოაწყო საკრედიტო განყოფილება სოფლის მეურნეთა დასახმარებლად. გადადებულია ამ საქმისათვის 5000 მ. ოქროთი.

ყირიმის კოოპერაცია.

სიმფეროპოლი. 19 ივნისი. გაიხსნა სრულიად უკრაინის მუშათა კოოპერაციის კონფერენცია. მოხსენებიდან გამოირკვა, რომ ყირიმის ყველა კოოპერატივებს საერთოდ 17,000 წევრი ჰყოლია. ამ კოოპერატივების საქონლის ტრიალი ოთხი უკანასკნელი თვეების განმავლობაში უდრიდა 214,000 მან. ოქროთი.

მელითონეთა ყრილობა

მოსკოვი. 21 ივნისი. 18 ივნისის სხდომაზე მელითონეთა ყრილობამ მოისმინა მთავარ კომიტეტების მოხსენებანი. ილაპარაკა 26 ორატორმა.

საღამოს სხდომის დასასრულ, საერთაშორისო პროპაგანდის კომიტეტის მდივანმა მოხსენება გააკეთა მელითონეთა საერთაშორისო კავშირის შესახებ.

19 ივნისს, დილის სხდომაზე ხელფასის საკითხის შესახებ მოხსენებით გამოვიდა გურევიჩი. მოხსენების დასკვნა ასეთია: მელითონეთა ხარჯები უახლოვდება ომის წინანდელ დროის ხარჯებს. საჭიროა კიდევ მომატება ხელფასისა, რათა მელითონენი დაკმაყოფილებულნი იყვნენ აგრეთვე ტანისამოსით.

სიტყვა წარმოსთქვა ამხ. კალინინმა, რომელმაც განაცხადა. მელითონენი ყოველთვის სათავეში ედგნენ რევოლიუციის ყოველ ახალ საფეხურს.

მელითონეებმა უნდა იკისრონ ჩვენი წარმოების ფეხზე დაყენების საქმე. ყველა დანარჩენი კავშირები მხოლოდ მელითონეებს მისჩერებიან. ამხ. კალინინმა დასასრულს განაცხადა: როგორც თქვენი ახალი კოლეგა პროფესიით მე ვისურვებდი რომ ეს საქმეც თქვენ ითავოთ, როგორც ყოველთვის გკისრიათ უფრო რთული და საძნელო საქმეების გაძღოლა რუსეთის რევოლიუციონურ მოძრაობაში.

ჰელსინგფორსის, რუსეთის და რიგის გამოფენაზე.

მოსკოვი 21 ივნისი. საგარეო ვაჭრობის სახალხო კომისარიატი დიდს სამზადისშია ჰელსინგფორსისა და რიგის სავაჭრო-სამრეწველო გამოფენებზე მონაწილეობის მისაღებად. ეს გამოფენები იმართება ივლისში.

პურის გაზიდვა.

მოსკოვი. 21 ივნისი. პეტროგრადის ნავთსადგურიდან პურის გაზიდვა ამ უკანასკნელ დროს თვალსაჩინოდ გაიზარდა. 15 ივნისს გაიგზავნა 7 გემი ჰვავით დატვირთული.

კანონმდებლობა.

მოსკოვი. 21 ივნისი. იუსტიციის კომისარიატს უმაღლეს ცენტრალურ აღმასრულებელ კომიტეტში შეაქვს 40 შესწორება სისხლის სამართლის დებულებებში.

შინაგან საქმეთა კომისარიატსაც თავის მხრივ შეაქვს 10 შესწორება კერძო ორგანიზაციათა და კერძო კაპიტალის უფლებების შესახებ.

უცხოეთის ცხოვრება

რამდენი გადაუხადა გერმანიამ ანტანტას

სარეპარაციო კომისიამ გადასწყვიტა წელიწადში ორჯერ გამოაქვეყნოს თავისი ანგარიშები, განსაკუთრებით კი ცნობა თუ როგორ შემოაქვს გერმანიას სარეპარაციო გადასახადები. სარეპარაციო კომისიის მიერ ვერსალის ხელშეკრულების თანახმად, 1922 წლის 31 დეკემბრისათვის მიღებული თანხების საერთო ჯამის და ამ თანხების მოკავშირე სახელმწიფოებს შორის განაწილების ცნობა მხოლოდ ახლახან გამოქვეყნდა უცხოეთის ჟურნალ-გაზეთებში.

ამ დოკუმენტებიდან სჩანს, რომ გერმანიის მიერ წარსული წლის დამლევისათვის გადახდილი კონტრიბუციები უდრის საკმაოთ მოზრდილ ციფრს—8 მილიარდ მარკას ოქროთი, ანუ 10 მილიარდ ფრანკს ოქროთი. ეს თანხა შესდგა შემდეგი გადასახადებიდან (ნაანგარიშევია ოქროს მარკებში):

ფულით	1 878 515 000
ნატურით	3.495 006 000
სახელმწიფო ქონება (რომელიც დაეთმო ფრანგებს)	2 553 905 000
ხაზინების შემოსავალი	13 000 000
სულ	7.940.426 000

გერმანიის მიერ გადახდილი 7.940.426.000 ოქროს მარკიდან სარეპარაციო კომისიამ მოკავშირე სახელმწიფოებს შორის გაანაწილა 5.184 257 000 მარკა ოქროთი, ეს თანხა განაწილდა შემდეგნაირათ:

საფრანგეთს	1.790.803.000
ბელგიას	1.719.996 000
ინგლისს	1.150.524 000
იტალიას	242 794.000
სერბიას	150 685.000
იაპონიას	67.978 000
ჩეხო-სლოვაკეთს	21 190.000
პოლონეთს	14 705.000
საბერძნეთს	11.023 000
რუმინეთს	10.144.000
პორტუგალიას	4.415.000
სულ	5.184.257 000

დარჩენილი გაუნაწილებელი — 2.756 169 000 მარკა ოქროთი შესდგება სხვა და სხვა ზონების ღირებულებიდან; ეს ქონება შემდეგია:

წყალქვეშა კაბელი — 49.100.000 დათმობილი სახელმწიფო ქონება და გერმანიის სახალხო სესხის ნაწილი— 2.085.393.000, საარის მაღაროების ღირებულება (შეფასებითი) 100 მილ.

გემების ღირებულების ნაწილი	391.519 000
სხვა და სხვა ქონება	92.631.000
თანხები კასაში და ასალები ვალები	37.626.000

საფრანგეთის მიერ 1922 წლის დამლევისათვის მიღებული 1.790.803 000 ოქროს მარკა შესდგება შემდეგის ნაწილებიდან:

ფულით	143 649.000
ნატურით	1.345.112.000
დათმობილი სახ. ქონება	302.042.000

საოკუპაციო ჯარების და საკონტროლო კომისიების შესანახათ ხარჯები 1922 წლის დამლევისათვის უდრიდა 2.448.166 000 მარკას ოქროთი და ნაწილდება შემდეგნაირათ:

საფრანგეთი	1.261.001.000
ინგლისი.	942 836.000
ბელგია	233 677.000
იტალია	10.383.000
იაპონია	269.000

ამ ციფრებს უნდა მიემატოს აგრეთვე ამერიკის ჯარების შესანახი ხარჯები, რომლებიც უდრის 1.072.193 000 მარკას ოქროთი. ასე, ამ რიგად სამხედრო ოკუპაციის ხარჯები 1922 წლის დამლევისათვის შეადგენს სამნახევარ მილიარდ მარკაზე მეტს (3 510.359.000) მარკა ოქროთი.

სესხი, რომელიც მიეცა გერმანიას 1920 წლის ივლისში სპაში დადებულ ხელშეკრულების ძალით და საოკუპაციო ხარჯები, გერმანიამ პირველ რიგში უნდა გადაიხადოს.

ამ ორი კატეგორიის ვალი შეადგენდა: 392,216,000 და 2,448,166,000 მარკას ოქროთი.

ამ ვალების გადახდის შემდეგ მოკავშირეებს რჩებათ გასანაწილებლად 3,343,875,000 მარკა ოქროთი.

კერძოთ კი საფრანგეთის მიერ მიღებული 1,790,803,000 მარკა ოქროთი შესდგება შემდეგი ნაწილებიდან: სპას შეთანხმების თანახმად გერმანიისათვის მიცემული სესხი 238,771 მილიონი; საოკუპაციო ჯარების შესანახი ხარჯები 1,261,001,000. სხვა თანხები 291,031,000.

„ინპრეკორი".

პროფინტერნში

რევოლიუციონურ სამთო-მადნო მუშების თათბირი

ბერლინში შესდგა რევოლიუციონურ სამთო-მადნო მუშათა თათბირი, რომელიც მოწვეული იყო საერთაშორისო საპროპაგანდო კომიტეტის მიერ. თათბირზე დაესწრნენ მხოლოდ რუსეთის და გერმანიის წარმომადგენლები, საფრანგეთის წარმომადგენელი დაპატიმრებულ იქნა გზაში, ხოლო ინგლისის წარმომადგენელი არ შეიძლებოდა ჩამოსულიყო, რადგანაც სამხრეთ-უელსში დაიწყო სამთომადნო მუშების მღელვარება.

საერთაშორისო საპროპაგანდო კომიტეტის მუშაობის ანგარიშის მოსმენის და მისი მოწონების შემდეგ, კონფერენციაზე მოხსენებას აკეთებს ამხ. სობოტკა ფრანკფურტის რევოლიუციონურ ორგანიზაციების გადაწყვეტილებების და სამთო მადნო რევოლიუციონურ მუშების ამოცანების შესახებ, პრაქტიკულ ღონისძიების მიღების მიზნით განზრახულია დამყარდეს მჭიდრო რეგულიარული ურთიერთობა დასავლეთში ბელგიის, საფრანგეთის, გერმანიის და ჰოლანდიის მემაღაროებს და აღმოსავლეთში შუა-გერმანიის, ზემო-სილეზიის, ავსტრიის, პოლონეთის და ჩეხო-სლოვაკიის სამთო-მადნო მუშებს შორის და ეს ურთიერთობა გავრცელდეს ტრანსპორტის მუშებზედაც. ამას გარდა განზრახულია წინადადება მიეცეს რეფორმისტულ კავშირებს მოიწვიონ საოლქო და საერთაშორისო კონფერენციები ყველა სამთო-მადნო მუშების, პოლიტიკური მიმართულების მიუხედავად, ხოლო რეფორმისტების საწინააღმდეგო შემთხვევაში, ასეთი კონფერენციები თვითვე მოიწვიონ დამოუკიდებლად.

მოხსენებით სამთო-მადნო მუშების საერთაშორისო ბრძოლის ფრონტის შექმნის შესახებ გამოდის ამხ. ვიტტი, რომლის მოხსენების გამო მიღებულია რეზოლიუცია, რომელიც ავალებს ორგანიზაციებს და უჯრედებს, რომლებიც შეუერთდენ საერთაშორისო საპროპაგანდო კომიტეტს, დაუყოვნებლივ შეუდგენ ფულის შეგროვებას ბრძოლის ფონდის გასაძლიერებლად, განსაკუთრებით ინტენსიური აგიტაცია ამ ფონდის გასაძლიერებლად უნდა [illegible] ბებზე წარმოებებში და კავშირებში. ფული უნდა იგზავნებოდეს ნაციონალურ რევოლიუციონურ [illegible] ნალურ ცენტრებში [illegible]. შემოწირული [illegible] იბეჭდებოდეს საერთაშორისო საპროპაგანდო კომიტეტის ბიულეტენში, პროფესიონალურ და პარტიულ პრესაში.

შემდეგ ამხ. ერნესტი აკეთებს მოხსენებას უფრო მჭიდრო კავშირის აუცილებლობაზე სხვა და სხვა ქვეყნის რევოლიუციონურ სამთო-მადნო მუშათა ორგანიზაციებს შორის. მოხსენებამ გამოიწვია გაცხოველებული კამათი, რომლის შემდეგაც მიღებულ იქნა შემდეგი დადგენილება:

— საერთაშორისო საპროპაგანდო კომიტეტის ორგანო უნდა გამოდიოდეს ყოველ ორ კვირაში გერმანულ, ფრანგულ და ინგლისურ ენებზე. ის უნდა ვრცელდებოდეს იმ ფასების მიხედვით, რომელსაც დააწესებენ დაინტერესებული ორგანიზაციები. ყველა ორგანიზაციებმა დაუყოვნებლივ უნდა გამოგზავნონ ჟურნალზე ხელისმომწერთა სიები. ჟურნალის რედაქტორებად საერთაშორისო საპროპაგანდო კომიტეტის პრეზიდიუმმა აირჩია ამხ. ამხ. ვიტტი და სობოტკა; საერთაშორისო საპროპაგანდო კომიტეტის ყველა წევრებს ევალებათ გამოგზავნონ წერილები და კორესპონდენციები. ამას გარდა, თათბირმა საჭიროდ დაინახა მოახდინოს აქტიურ პროფესიონალურ მუშაკების გადაცვლა სხვა და სხვა ქვეყნის კავშირებს შორის და გამოუშვას ბროშიურები პროფესიონალური მოძრაობის შესახებ.

ამიერ კავკასიის რესპუბლიკებში

საქართველო

აჭარა.

საბჭოთა მეხამე ქარხანა არ დაიხურება.

ბათომი. 20 ივნისი. სახალხო კომისართა საბჭოს მიზანშეწონილად მიაჩნია კომისიის დადგენილება საბჭოთა მე 3 ქარხნის გაუქმების შესახებ შტატების შემცირების გამო. ეს ქარხანა არ დაიხურება. ამ ჟამად იქ მუშაობა კალაპოტშია ჩამდგარი. ქარხანა ასრულებს შენაკვეთს ნავთსადგურის შეკეთების საქმისათვის; ასრულებს აგრეთვე რამდენიმე სამუშაოს ელექტრო სადგურისა, წყალსადენისთვის და აგრეთვე კერძო საქმეებსაც, საერთოდ ამ ქარხანას ამ ჟამად ერთი წლის სამუშაო აქვს.

ბათომის ნავთსადგური მაისში.

ბათომი. 20 ივნისი. მაისის განმავლობაში ბათომიდან ილქნიან გემებით და ნავებით გაუზიდიათ 124,609 ფუთი ხორბლეულობა, 7,891 სხვა საქონელი. საზღვარგარეთიდან შემოუტანიათ 130,658 ფ. გაუტანიათ საზღვარ-გარედ—694,166 ფუთი.

ბათომი.

კულტურული გამარჯვება.

ბათომი. 22 ივნისი. ადგილობრივ ტრანსპორტის კავშირმა დაადგინა საზეიმო კრებით აღნიშნოს კულტურული გამარჯვება კავშირის სკოლებში, სადაც სომხურ ენაზე წერა-კითხვა ისწავლეს 50 ბარგის მტვირთველმა მუშებმა.

აზერბეიჯანი

მუშების წამლობა.

ბაქო. 22 ივნისი. რადგანაც შარშან ადგილობრივ სანატორიუმებში მყოფი მუშები უფრო კარგად გრძნობდნენ თავს ვიდრე მადნეულ წყლებზე გაგზავნილნი სამთომადნო მუშათა კავშირის, საექიმო-სასანიტარო განყოფილებამ წინადადება მისცა ადგილობრივ ექიმებს, შეისწავლონ ბაქოს მიდამოებში მუშათა წამლობის მდგომარეობა.

ბამბის კამპანია.

ბაქო. 22 ივნისი. ბამბის მეურნეობის მთავარი სამმართველო განაგრძობს ბამბის მთესველთათვის მეორე ავანსების დარიგებას, თუმცა წინასწარვე ამოწმებს მათ მიერ დათესილ დესეტინათა რაოდენობას. ბამბის მოსავალს ყველგან კარგი პირი უჩანს. ბამბის ნათესობა კალიას არ წაუხდენია გარდა 150 დესეტინისა ალდაშის მიდამოებში. საერთოდ კარგი მოსავალის იმედი აქვთ, თუ ამინდი კვლავაც ხელს შეუწყობს. გლეხობა დიდის ხალისით ეტანება ბამბის მოყვანას.

ნავთის ნაწარმოებთა გაზიდვა.

ბაქო. 22 ივნისი. ივნისის 16—17 გაზიდულია ბაქოდან ასტრახანში შავი ნავთის ნაწარმოები 1749436 ფუთი, ნავთი 247,080 ფუთი; პეტროვსკიდან კრასნოვოდსკში—გროზნოს ნავთი 84,830 ფუთი; რაკუშიდან ასტრახანში—3,067 ფუთი ნავთი; ბაქოდან კრასნოვოდსკში შავი ნავთის ნაწარმოები 57677 ფუთი.

მუშების გამოგონება.

ბაქო. 26 ივნისი. ბალახანის სასარეწაო რაიონის მემანქანე ზიობიშევმა გამოიგონა საქაჩავის სარქველი, რომელიც საქაჩავის მოქმედების ნაყოფიერებას საათში 550 ფუთიდან ადიდებს 4200 ფუთამდი.

აღმშენებლობა საზღვაო ტრანსპორტში.

ბაქო. 22 ივნისი. კასპიის ზღვის სახელმწიფო ფლოტის სამმართველოს საამშენებლო განყოფილება შეუდგა პარიზის კომუნის სახელობის დოკის კაპიტალურ რემონტს. მოსამზადებელი მუშაობას წარმოებს ამ დოკის აუზის გასაწმენდათ, რაც საშუალებას მისცემს განყოფილებას შეუდგეს გემების რემონტს. მუშაობა დაიწყო ენჩელის საქონლის—სამგზავრო ნავთსადგურის № 22 რემონტისათვის. დამთავრებულია კასპიის ზღვის სახელმწიფო ფლოტის ახალი ნავთსადგურის აშენება. ამხ. ურიცკის სახელობის პორტში სამგზავრო ნავთსადგურის კაპიტალური რემონტი სწარმოებს. ილიჩის სახელობის ნავთსადგურში მუშაობა სწარმოებს შემავალ თხრილისათვის მუდმივ გამათრთხილებელ სანათურების მოსაწყობად. კრასნოვოდსკში ილიჩის სახელობის ნავთსადგურში და აგრეთვე ასტრახანის რეიდზეც მუშაობა სწარმოებს თხრილებისა და ნავთსადგურში შემავალ გზების გასაღრმავებლად. სომხეთი

ნახიჩევანის რაიონი.

დახმარება რურის მუშებისათვის.

ნახიჩევანი. 22 ივნისი. ნახიჩევანის რაიონის მაღაროების მუშებმა რურის მუშების სასარგებლოდ შეაგროვეს 100 მანეთი ოქროთი

სომხეთი

კომუნალურ მეურნეობის მუშაკთა ყრილობა.

ერევანი 20 ივნისი. გუშინ დასრულდა სომხეთის კომუნალურ მეურნეობის მუშაკთა მეორე ყრილობა. როგორც პასუხისმგებელმა მდივანმა ამხ. დემირჩიანმა აღნიშნა თავის მოხსენებაში, ნებაყოფლობითი წევრობის გატარების შემდეგ კავშირის წევრთა რიცხვი 150 კაციდან 1100 გაცამდი გაიზარდა. წერა-კითხვის უცოდინარობის ლიკვიდაციისათვის მუშაობდა 4 სკოლა. უმუშევრები წევრთა საერთო რიცხვის 17 პროც. შეადგენენ.

სევანის ტბის შესწავლა.

ერევანი. 20 ივნისი. სევანის ტბის გეოლოგიური და ბოტანიკური მხრივ შესწავლისათვის ეწყობა სამეცნიერო ექსპედიცია.

ელექტროფიკაცია.

გერიუსი. 20 ივნისი. ზანგეზურის სამაზრო აღმასკომს განზრახული აქვს გერიუსის ელექტრონის სადგურისათვის რემონტის გაკეთება, რისთვისაც მას შესაფერი მატერიალური საშუალებები მიეცა.

მიწის საკითხის მოგვარება.

დელიჟანი. 20 ივნისი. მიწის საკითხის მოგვარებისათვის წარმოებული მუშაობა დელიჟანის მაზრაში გრძელდება. განზრახულია მისი მომავალ წელში მოთავება.

მაჩში.

ერევანი. 21 ივნისი. მმაჩის ცნობით ერევანში ივნისის პირველი ნახევარის განმავლობაში დაიბადა 58, მოკვდა—15, დაქორწინდა—16, გაიყარა—4.

შრომის დაცვა.

ერევანი. 22 ივნისი. შრომის დაცვის განყოფილებაში მაისში შემოვიდა 112 განცხადება, ამათგან 27 კოლექტიური. შრომის ინსპექციამ გამოიკვლია მუშების მდგომარეობა ერევანის 19 სხვადასხვა დაწესებულებაში.

ბრძოლა მოსავლის მტრებთან.

ალექსანდროპოლი. 22 ივნისი. ალექსანდროპოლის სამაზრო აღმასკომმა მიიღო ზომები მოსავლის მტრების წინააღმდეგ. სამაზრო აღმასკომი სთხოვს ცენტს დახმარებას თანხებით და მედიკამენტებით.

მოწოდება

საქართველოს სოციალისტურ საბჭოთა რესპუბლიკის ყველა გლეხებს.

ამხანაგებო! ა | წ. 1 ივლისიდან საქართველოს სოციალისტურ საბჭოთა რესპუბლიკის სოციალურ უზრუნველყოფის კომისარიატი ნიშნავს კამპანიას საბჭოთა საქართველოს მთელ ტერიტორიაზე საზოგადოებრივი საურთიერთო დახმარების გლეხთა კომიტეტების მოსაწყობად. ეს საზოგადოებრივი საურთიერთო დახმარების ორგანიზაცია, ეჭვი არ არის, თქვენში ჰპოვებს მეტად ცოცხალ თანაგრძნობას და დახმარებას; მწუხარების დროს, რომელიც შეიძლება თავს დაატყდეს ყველა მშრომელ გლეხთაგანს ყოველ საათში, გლეხობა ვერ შესძლებს, თავის საკუთარი სპეციალური საურთიერთო დახმარების ორგანიზაციის უქონლობის გამო, მომზადებულად შეხვდეს სტიქიურ უბედურებას (მოუსავლობა, დასეტყვა, წყალდიდობა, ცეცხლის გაჩენა და სხვა). ვერ შესძლებენ წესიერად და ფართოთ დაეხმარონ ყველა თავის გაჭირვებულ გლეხებს, ომის ინვალიდებს, გაჭირვებულ ქვრივ-ობლებს, ვერ შესძლებენ მოწყობილად უდარაჯონ ყველაზე უფრო სუსტებს, ყველაზე უფრო გაჭირვებულთ. მხოლოდ საზოგადოებრივი ურთიერთ დახმარების გლეხთა კომიტეტები, რომელნიც მოიცავენ მთელ მშრომელ გლეხკაცობას, შესძლებენ წინათვე გაითვალისწინონ გეგმა და მოაწყონ ყოველმხრივი დახმარება გაჭირვებული და უბედურებაში ჩავარდნილ გლეხკაცობისათვის; ეს კომიტეტები თავის საკუთარი ფონდის მოწყობით მზად იქნებიან თავს დატეხილ უბედურების საწინააღმდეგოთ და ამ შემთხვევისათვის შესძლებენ ნამდვილ დახმარებას გლეხკაცობისათვის. თავის ფონდებს გლეხთა კომიტეტები შეადგენენ არა მარტო თვითდაბეგვრით და სამართლიანი გაწერით, რაც გამომუშავდება თვით გლეხთა ნებასურვილით, არამედ ფონდის სასარგებლოდ დამუშავებული მიწებიდანაც.

გლეხთა კომიტეტები რიცხვით 90 ათასამდის მოიფინა მთელ საბჭოთა რუსეთს და შეერთებულნი სათემო, სამაზრო, საგუბერნიო და საერთო რესპუბლიკის კომიტეტებში, აწარმოებენ მტკიცე და წესიერ ბრძოლას ყველა უბედურების წინააღმდეგ.

ჩვენთვისაც აუცილებლად საჭიროა წავიდეთ ამავე გზით. დეე ა. წ. 1 ივნისიდან მთელი საბჭოთა საქართველო მოიფინოს საზოგადოებრივი საურთიერთო დახმარების გლეხთა კომიტეტებით—სოფლის, თემის და მაზრის, რის შემდეგაც უკვე ადვილია რესპუბლიკის საერთო ცენტრალური გლეხთა კომიტეტის შედგენა.

ეს კომიტეტები მუშათა და გლეხთა მთავრობასთან ერთად ერთგულ მუშაობით, უფრო ადვილად დასძლევენ გაჭირვებას გლეხთა შორის; უფრო მეტად დაეხმარებიან დავრდომილებს და ცხოვრებით ილაჯ-გაწყვეტილ სუსტ გლეხკაცობას.

მაშ მზათ იყავით ამხ. გლეხებო, მომავალი კამპანიის მოსაწყობად.

გამოიჩინეთ თქვენი ღრმა რევოლიუციონური შეგნება და საერთო ძალღონით შეადგინეთ თქვენი საკუთარი უზრუნველყოფის და დახმარების საზოგადოებრივი ორგანოები.

სოციალურ უზრუნველყოფის სახალხო კომისარი **კ ხომერიკი.**

სოციალურ უზრუნ. განყოფილების გამგე **ათაბეგოვ-ტუმანი.**

ეკონომიური ცხოვრება

ვალიუტის კურსი თბილისში.

(22 ივნისი)

ჩერვონცები	—13,600 ათასი.
გირვან. სტერ. ეფექტ.	—14,900 ათ.
„ ჩეკები	—12 950
დოლარები — ეფექტ.	—3.550
„ ჩეკები	—3.200
ოსმალ. ქაღალ. ლირა	—115
ფრანკი ეფექტ.	— — 175
საბჭოთა ფულის ნიშნები	—20 ნახ.

მუშკოპის ფასები.

(22 ივნისი).

თეთრი პური—60 ათასი, 2 ხარის.—45 ათ., ფქვილი თეთრი გ.—100 ათ. საპონი „ტოლე"—300 ათ., საპონი როსტოვის—360 ათასი, ლობიო—15—35 ათასი, ბრინჯი—140 ათასი, კარტოფილი—50 ათასი.

ტფილისის სავაჭრო ბირჟის საქონლის განყოფილების მიწოდება.

(22 ივნისი).

საბეჭდი ქაღალდის 16×24 ვერშ. ბაწარი, ლურსმანი—2—5 დ პურის სპირტი—96 გრად., ყველი შვეიცარული, კლიოპკები მეხის, მარილის სინდიკატის პროდუქცია, ცემენტი ნოვოროსისკის, რკინა, ჩაი გერმან., მედიკამენტები გერმ., სრულიად რუსეთის ტყაველობის სინდიკატის პროდუქცია, მანუფაქტურა რუს., წუმ. წუმა „ირაიდა", „სოლნცე", „ვოლკოვი", მაკარონი 1 და 2 ხარისხ., ქვავი, ხორბალი ყუბანის და კიურდამირის, ქვამარილი ნახიჩევანის, ერბო 1 ხარისხ., ასფალტი.

ბირჟის საქონლის განყოფილების მოთხოვნილება.

(22 ივნისი).

საპონის სუროგატი, ცხლები, სამკურნალო ბალახი, თამბაქო ფოთლოვანი, შაბიამანი ინგლისიური, ნაწლავები ცხვრის, მუშის ფეხსაცმელები, უმაღლესი ხარისხის, მანუფაქტურა რუს., ტყავი ნედლი, თოკი ძნის შესაკერავი, ქინაქინა, ჯაგარი, ლურსმანი, მავთული, მინა, გუდრონი, ასფალტი, თუნუქი, ქვამარილი, ნახიჩევანის.

ბარიშებანი.

ბურღული 1.000.000 მანეთი ფ. გამყიდველის ფრანკო საწყობი.

საქონლის ბაზრის განწყობილება.

(22 ივნისი).

შაქრის ბაზარზე განწყობილება მტკიცეა, ხოლო დანარჩენებზე უცვლელია.

თბილისის ბირჟის საქონლის განყოფილების მიწოდება.

(21 ივნისი).

ასფალტი. ერბო 1 ხარ. ნახიჩევანის ქვა-მარილი. ყუბანისა და ქიურდამირის ხორბალი. შვრია. სალამასი. მაკარონი 1 და 2 ხარ. რუსეთის ასანთი „ირაიდა", „მზე"-ვოლკოვისა. რუსეთის ფართლეულობა. სრულიად რუსეთის ტყავის სინდიკატის პროდუქცია. მარილის სინდიკატის პროდუქცია. გერმანული მედიკამენტები და ჩაი. სახურავის რკინეულობა. ნოვოროსიისკის ცემენტი. სოდა.

თბილისის ბირჟის საქონლის განყოფილების მოთხოვნილება.

(21 ივნისი)

ნახიჩევანის ქვა-მარილი. ინგლისური თეთრი თუნუქი. ასფალტი. ფანჯრის მინები. მავთული. საპონის სუროგატები. საამშენებლო ლურსმნები. ხარისხებად დანაწილებული ჯაგარი. ქინაქინა. ძნის შესაკრავი კანაფი. ნედლი ტყავები. პურის სპირტი. რუსეთის ფართლეულობა. სამუშაო ფეხსაცმელები უმაღლეს ხარისხის. ცხვრის ნაწლევები. მატყლი. ინგლისური შაბიამანი. ფოთლოვანი თამბაქო. საწამლო ბალახები.

ხელშეკრულებები.

რეზინის ტრესტის ნაწარმოებები 5.894.835 0 0 მან. თანხის ამიერ-კავკასიის ფულის ნიშნებით. ინგლისური შაბიამანი 13 მილიონად ფუთი, გამყიდველის ფრანკო-საწყობი. (1-ლ ივნისის ხელშეკრულება).

ბირჟის საქონლის განყოფილების განწყობილება.

თბილისის საქონლის ბაზრის განწყობილება 21 ივნისს—გაცხოველებულია.

ადგილობრივი ხორბალის პროდუქტების მოთხოვნილება—სუსტია.

საქართველოს საგამომფენო კომიტეტში.

მოსკოვის მომავალ სასოფლო-სამეურნეო გამოფენისათვის მესაქონლეობის განყოფილებას განზრახვა აქვს შეისყიდოს სხვა და სხვა რაიონებში საქართველოს ადგილობრივი დამახასიათებელი საქონელი; შესყიდვას თან უნდა უძღოდეს ამა თუ იმ რაიონის საქონლის გაშინჯვა, ფოტოგრაფიული სურათების გადაღება, გაზომვა და სხვა. შესყიდული საქონელი მოსკოვში გაგზავნამდე მოთავსებული იქნება ოლღავ სახელმწიფო ფერმაში.

მთლიან სასოფლო-სამეურნეო გადასახადისათვის.

საუწყებათაშორისო კომისიამ ამიერ-კავკასიის რესპუბლიკების თვითეულ რაიონისათვის შეადგინა ნორმების ნათესებში და მსხვილ რქიან საქონელში გადაყვანის პროექტი: შესაძლებლად იქნა ცნობილი დაწესდეს შემდეგი ნორმები:

საქართველოსთვის:

ვენახების 1 დესეტინა გათანასწორებულია ნათესების 3 დესეტინასთან თელავისა და სიღნაღის მაზრებში და ნათესების 2 დესეტინასთან დანარჩენ მაზრებში, ხეხილის ბაღებისა და და კაკლის პლანტაციების 1 დესეტინა გათანასწორებულია ნათესების 2 დესეტინასთან სათიბების 1 დესეტინა—ნათესების ნახევარ დესეტინასთან; 4 ღორი ან წვრილფეხა საქონლის 6 თავი უდრის მსხვილფეხა საქონლის 1 თავს.

კოოპერაცია

ცეკავშირის საერთო მდგომარეობა.

1. სავაჭრო მოქმედება.

სავაჭრო გეგმის შედგენის დროს ცეკავშირი გამოდიოდა იმ მოსაზრებიდან, რომ სავაჭრო-სამეურნეო ორგანიზაცია უნდა ვაჭრობდეს ისეთი საქონლით, რომელზედაც მუდმივი მოთხოვნილებაა ამ ორგანიზაციის კლიენტების მხრივ.

ისეთ მსხვილ ბითუმათ მიმწოდებელ ცენტრათ გადაქცევა, რომლის განკარგულებაში იქნება სხვა და სხვა ასორტიმენტის საქონლის რაოდენობა ბაზარზე გავლენის მოსახდენათ,—ასეთი იყო ცეკავშირის მიზანი. ამ ამოცანის მიხედვით ცეკავშირს განზრახული ქონდა რაიონული კავშირების და ადგილობრივი კოოპერატივების საშვალებით აპრილი აგვისტოს პერიოდში გაენაწილებია საქონელი შემდეგის რაოდენობით (საქონელი ნაანგარიშევია ოქროს მანეთებში).

ფქვილი	35.000 ფ.	61.000 მან.
შაქარი	15.000 „	100 000 „
მანუფაქტ.	200.000 არ.	100.000 „
ლობიო და ბრინჯი	10.000 ფ.	15.000 „
სხვა საქონელი	— —	256 000 „
სულ		532.000 მან.

დიდი ნაწილი ამ საქონლის უკვე შეძენილია და ცეკავშირის საწყობებში იმყოფება. საქონელი შეძენილია მეტად შეღავათიან პირობებში ნაწილობრივ ნისიათ, ნაწილობრივ კი იმ თანხებით, რომელიც კრედიტის სახით მისცა ცეკავშირს სრულიად რუსეთის კოოპერატიულმა ბანკმა.

ვინაიდან მოსახლეობის (მუშებისა და გლეხების) სამყიდველო ძალა მეტად სუსტი იყო (და არის), ფულის ნიშნების რეალური ღირებულება კი დღითი დღე ეცემა, ცეკავშირმა გადასწყვიტა საქონლის რეალიზაციის დროს ეხელმძღვანელებია გაცვლა-გამოცვლის პრინციპით. გაცვლა-გამოცვლის პრინციპი სასარგებლოა არა მარტო ცეკავშირისათვის, არამედ გლეხობისათვის, რომელსაც წესიერათ ვერ მოუწყვია თავისი საქონლის გასაღების საქმე და ამის გამო ძლიერ მწვავედ განიცდის უფულობას.

ამ პრინციპის მიხედვით ცეკავშირმა თითეულ რაიონს, რაიონული კოოპერატიული კავშირების სახით, დაავალა დაემზადებია ნედლი მასალა. ასე მაგალითად 1) კახეთს (კახეთისა და სიღნაღის რაიკავშირები) დაევალა მატყლისა და ჯაგარის დამზადება. დაისვა ღვინის შეძენის საკითხი, მაგრამ მისი გადაჭრა გადაიდვა იმ დროისათვის, როცა გამოირკვევა მოსკოვში გაგზავნილი ღვინის პირველი პარტიის რეალიზაციის შედეგები; ქართლს (გორის კავშირი)- მატყლის დამზადება; 3) იმერეთს (ქუთაისის, შორაპნისა და ზესტაფონის კავშირები)—მოცვის ფურც.; ჯაგარის; 4) სამეგრელოს და გურიას—სიმინდის, ჩაის—ადგილობრივის და მოცვის, ჯაგრის და სხვა.

2. საწარმოო დარგში.

აპრილის თვის განმავლობაში ცეკავშირის საწარმოო დარგი ეწოდა მუშაობას აბრეშუმის საქსოვი და კონსერვების ქარხნის და აგრეთვე განათლების კომისარიატისაგან მიღებული კერამიკული ქარხნის მოსაწყობათ. მაისის თვისათვის ეს ქარხნები უკვე მზად იყვნენ მუშაობისათვის. კერძოდ, აბრეშუმის საქსოვი ქარხნის ასამუშავებლად საწარმოო დარგი უცდიდა მხოლოდ სპეციალისტების ჩამოსვლას. ქარხნისათვის მომარაგებულია 6 თვის მუშაობისათვის საკმაო ნედლი მასალა.

გორის კონსერვების ფაბრიკის ამუშავება განზრახული იყო პირველი ივნისისათვის. ამ ფაბრიკაში ყოველწლიურად დაახლოვებით დამზადდება 50.000 ფუთამდი სხვადასხვა ხილისა და ბოსტნეულის კონსერვი და 10.000 გამხმარი ხილი. როგორც ტეხნიკური მოწყობილობით, ისე დამზადებული პროდუქციის რაოდენობის მიხედვით ქარხანა პირველ ადგილს დაიჭერს მთელს კავკასიაში. აღსანიშნავია ის გარემოება, რომ ადგილობრივი გლეხობა შეგნებულათ დიდათ დაინტერესებულია ქარხნის ბედით, რადგან დარწმუნებულია, რომ მასზეა დამოკიდებული ამ რაიონში მებოსტნეობისა და მეხილეობის მომავალი.

კერამიკული ქარხანაც მოწყობილია, უკვე დაიდგა ერთი ფეჩი ჭურჭლეულის გამოსაწვავად.

ძეხვების ქარხანასა და სტამბაში მუშაობა ისეთივე წარმატებით მიმდინარეობს, როგორც 1923 წლის პირველ მეოთხედში.

აპრილის განმავლობაში სტამბამ შესრულა 1750 მანეთის (ოქროს) სამუშაო, მოიგო—195,83 ოქროს მანეთი.

ძეხვების ქარხანამ აპრილში მიიღო 280 მანეთი მოგება.

საერთოდ უნდა აღინიშნოს, რომ თუმცა საწარმოვო დარგმა მუშაობა მეტად არახელსაყრელ პირობებში დაიწყო, მაგრამ ამ ჟამად მუშაობა წარმატებით მიმდინარეობს და დადებითი შედეგებს იძლევა.

ფინანსიური მდგომარეობა.

(აპრილის თვის ბრუნვა)

	შემოსავალი:	ოქრ. მანეთ.
1.	ნაშთი პირველი აპრილისათვის (ბონებში და ვალიუტ.) — —	6.936 –19
2.	შემოვიდა ვალი საკავშირო ორ-დან —	16.185 –72
3.	„ სხვადასხვა პირებისაგან და დაწესებ.	1.495—26
4.	„ საწარმოვო დარგებიდან — — —	1.879 –95
5.	„ ბორჯომის წყლების განყოფ. — —	2.433—70
6.	„ თანხები პარკის ოპერაციებისათვის	32 389 –19
7	„ საქონლის ნაღდზე გასაღებით — —	5.516 –20
8.	„ განყოფილებებიდან — — — —	2.140 –12
9.	„ სხვადასხვა შემოსავალი — — —	153 – 94
	ჯამი	69.130—27
	ხარჯები:	
1.	მიეცა მომწოდებლებს საქონლის ანგ-ში —	25.655—23
2	„ საწარმოვო დარგს	3.105 – 65
3.	„ სავაჭრო სარჯებისათვის — — —	641—10
4.	„ ჯამაგირში (ამაში შედის ნაწილი მარტის ჯამაგირების) —	3.294—23
5.	„ ავანსი (სამგზავროთ, საქონლის გასაგზავნათ და სხვა —	2.281 –15
6.	შეძენილია ინვენტარი	230—22
7.	მიეცა ბორჯომის მან.-წყლების განყ. —	2 380 –95
8.	დაუბრუნდა ავანსები	6.395 – 60
9.	შეტანილია სახალხო ბანკში შესანახათ —	20 – 000
10.	სხვადასხვა ხარჯები	1.051—73
	სულ	65.032—85
	ნაშთი პირველი მაისისათვის — — —	4 097—41
	სულ	69.130—41

აპრილის განმავლობაში შეძენილია ნაღდზე და ნისიათ შეძენილია — 61.403—93

საქონელი გაიყიდა — 57.799—04

ურთიერთობა ბანკებთან.

1. აპრილში რუსეთის სახელმწიფო ბანკის თბილისის კანტორაში ცეკავშირს გაეხსნა სპეციალური ანგარიში (1500 ჩერვონეცი) საქონლით უზრუნველყოფის კვეშ.

4. საორგანიზაციო განყოფილების მუშაობა.

საორგანიზაციო განყოფილებამ ჩაატარა დიდი მუშაობა მთელ საქართველოში ერთიანი სამომხმარებლო კოოპერატივების ქსელის შესადგენათ. უკვე დაიწყო ამ ქსელის ცხოვრებაში პრაქტიკულათ გატარება. გამომუშავებულია და დაბეჭდილია სათანადო ცირკულიარები, ინსტრუქციები, წესდებები და სხვა. საორგანიზაციო განყოფილებამ აგრეთვე მოამზადა მასალები კოოპერაციის სამკვირეულის ჩასატარებლათ.

გამოიცა გიხტმანის წიგნი „ამიერ-კავკასიის ეკონომიური გეოგრაფია" რუსულ-ქართულ ენებზე.

საქართველოს სასოფლო-სამეურნეო აღწერა

სტატისტიკის ცენტრალი სამმართველოსთან უკვე მოეწყო სასოფლო-სამეურნეო აღწერის ცენტრალი ბიურო შემდეგი შემადგენლობით: თავმჯდომარე—გ. მ· გრიგორიანი, წევრები: ბ. ნ. ჩიგოგიძე და დ. დ. კარიჭაშვილი. მდივნად მოწვეულია ვ. მ. ხმალაძე.

მთელი საალწერო მასალა როგორიც არის: ფორმულიარები, ბლანკები და ინსტრუქციები უკვე დამზადებულია.

ცენტრალ საალწერო ბიუროს დადგენილების თანახმად 25 ივნისისათვის დანიშნულია სამაზრო სტატბიუროების გამგეების და მათი თანაშემწეების თათბირი მომავალი სასოფლო-სამეურნეო აღწერის შესახებ და 1 ლ ივნისიდან კი იწყება კურსები ხსენებული აღწერის ინსტრუქტორებისათვის, რომელიც გაგრძელდება შვიდ დღეს.

მიეცა წინადადება ყველა სამაზრო სტატბიუროებს, დაუყოვნებლივ შეუდგენ ალმწერლებისა და ინსტრუქტორების წინასწარ აღრიცხვას განათლების ცენზის, წლოვანების და აღწერებში მონაწილეობის აღნიშვნით. აგრეთვე უნდა იქნეს ნაჩვენები, თუ მათში რამდენია ადგილობრივი მცხოვრები.

ამას გარდა, ვინაიდან შესაძლებელია, რომ ადგილობრივად ვერ მოგროვდეს ალმწერლებისა და ინსტრუქტორების საკმაო შტატი, სტატისტიკურ ცენტრალურ სამმართველოსთანაც მოეწყო ხსენებული ალმწერლების და ინსტრუქტორების წინასწარი აღრიცხვა, ბოლოს მათი მაზრებში დასანაწილებლად სტატბიუროების მოთხოვნილების მიხედვით.

საალწერო ცენტრალ ბიუროს დადგენილებით უკვე გამორკვეულია ადგილობრივი (სამაზრო) საალწერო ბიუროების შემადგენლობაც, რომელშიაც შედიან წევრებად ადგილობრივი სტატბიუროების გამგე და ადგილობრივი აღმასკომის და მიწადმოწყობის განყოფილების თითო წარმომადგენელი. დასახელებული არიან აგრეთვე აღწერის სამაზრო ხელმძღვანელები, რომელთაც ამავე დროს ევალებათ სამაზრო საალწერო ბიუროების თავმჯდომარეობა.

ჟურ. „ნიანგი" და მისი „კეთილის მსურველნი"

(ბიბლიოგრაფიის მაგიერ).

ამ რამოდენიმე დღის წინეთ გამოვიდა იუმორისტული ჟურნალ „ნიანგის" მეორე №. უნაკლო ჩვენში ცოტა რამ არის და, შეიძლება, თვით ეს „ცოტა რამეც" სულ ცოტა იყოს. კმაყოფილი ჩვენ მაშინ ვიქნებით, როდესაც ამა თუ იმ საქმეზე საფუძველი გვექნება ვთქვათ, რომ ის **შეხანიშნავათ** არის დაყენებული. კერძოთ იუმორისტულ ჟურნალს რა დააყენებს შესანიშნავათ, როდესაც ამისთვის ძალებიც შესანიშნავია საჭირო, ხოლო ესენი კი არა მარტო ჩვენ, საზოგადოთაც არ მოიპოვება დღეს საქართველოში.

ასეთ პირობებში ადვილი არ არის მდგომარეობა ამ ჟურნალის მუშაკებისაც.

ხოლო თუ ვიტყვით შედარებით, უდავოა, რომ მეორე ნომერი ბევრად უკეთესია პირველზე. თუ ყოველი შემდეგი ნომერი ჩვენ საბუთს მოგვცემს იგივე ვთქვათ—ეს უკვე დიდი მიღწევა იქნება ჟურნალისათვის. მაგრამ ამისთვის საჭიროა დახმარება ახალი საქმის და არა უთავბოლოდ მისი „თვალში ამოღება", ათვალისწუნება და მისი „ღრენა", როგორც ამას სჩადის ვინმე თ. ველი გაზ. „მუშა"-ში (№ 174).

ჩვენ ვამბობთ, რომ, ფორმით ვითომდა ლოიალური კრიტიკის, ერთი შეხედვით ლოიალური კრიტიკის საფარ ქვეშ, გაზ. „მუშის" თანამშრომელი ეწევა არსებითათ ყოვლათ შეუწყნარებელ კამპანიას „ახალი გამოცემის" წინაღმდეგ.

ამ მეორე ნომრის გამოსვლის გამო თ. ველი სწერს ასე.

„ხუმრობას ერთიკაშიში მეზობელი მუავს, რომელსაც მასხრობას ეძახიან. დიდი ნიჭი და უნარი ხშირია, რომ ხუმარა მასხარათ არ გადაიქცეს". (ხაზი ჩემია).

ამის წაკითხვის შემდეგ მკითხველი ბუნებრივათ მოელის, რომ ნაჩვენები იქნება მაგალითი ამ მასხრობის თვით ჟურნალში. მაგრამ ამას ვერ იპოვნის, რადგან ავტორს შეუძლებლათ მიაჩნია ჯერ ჟურნალის ნაკლზე ლაპარაკი. ამნაირათ ფაქტი ნაჩვენები არ არის, „მასხარაზე" კი ლაპარაკია და სწორეთ კონკრეტულ ჟურნალთან, თვით მისი მეორე № თან დაკავშირებით: ეფექტი მიღწეული ხდება მკითხველის გულუბრყვილო წარმოდგენაში. ეს პოლემიკური ხერხია, რომელსაც მიმართავენ ხანდახან როდესაც რაღაც მიზეზის გამო აშკარა ბრძოლა არ მიაჩნიათ გამოსადეგათ.

ავტორი აღნიშნავს, რომ მთელ ჟურნალში თითქმის თავიდან ბოლომდი ერთი კაცის ხელი ტრიალებსო. ჩვენ არ ვიცით რამდენათ მართალია ეს. მარა ასეც რომ იყოს, ჩვენ ვეკითხებით პარტიულ მკითხველს, რა საჭიროა შარაზე გამოტანა ჟურნალის რედაქციის **შინაური საქმეების?** დარწმუნებული ვართ: არა იმიტომ, რომ მისმა ავტორიტეტმა აიწიოს საზოგადოების თვალში, რადგან ასეთი ხმებით ჩვენ ვერ შევმატებთ ჟურნალს. ჩვენ იმ აზრს კი არ ვქადაგებთ, რომ მაინცა და მაინც „ჩვენი ამამაღლებელი ტყუილები" ვავრცელოთ ჩვენ შესახებ. რასაკვირველია, არა. მე ვამბობ მხოლოდ, რომ **ასეთნაირათ არ ეხმარებიან საქმეს,** პირიქით ეს არის ვნების მიყენება იმ საქმისათვის, რომელზეც თითქოს კეთილის მსურველის კილოთი ლაპარაკობ.

რომ ჟურნალის მორალურად დამცირება არის დასახული მიზნათ და მისი ვნება ეს შემდეგი ყოვლათ უადგილო სიტყვებიდანაც სჩანს, რომელსაც დასწერდა მხოლოთ ერთი ვინმე უპასუხისმგებლო, რომელიც თავს ვერ აძლევს ანგარიშს იმაში, თუ ვის მოფხანს გულს ეს სიტყვები:

„შეიძლება ძველი „**ეშმაკის მათრახი**"-ს თანამშრომელმა **შეიწყნაროს** რედაქციის **მუდარა** და მართლაც შეუდგეს „ნიანგში თანამშრომლობას". (ხაზი ჩემია).

ამ სიტყვების მნიშვნელობაზე ლაპარაკი ზედმეტია. **ამხანაგები** დააფასებენ მათ საკადრისათ.

ჟურნალს სცემს გაზეთების კანტორა არა თავისი ინიციატივით. ეს გარემოება ე. ი. რომ კანტორას ეს კითხვა დამოუკიდებლათ არ გადაუწყვეტია—საკმაო უნდა იყოს, რომ საზღვარი მისცეს „მასხრობას", მაგრამ ეს ასე არ არის. რასაკვირველია ექსპედიციამ თავისი საქმე უნდა აკეთოს, მაგრამ საჭიროება მოითხოვს ხშირათ ფუნქციების „ნაგრუზკას". ეს გასაგებია, ვისაც გაგების უნარი აქვს და სურვილი. მაგრამ ამ უკანასკნელს, როგორც ეტყობა, ვერ მოვთხოვთ თ. ველს.

ჩვენ გვგონია, რომ თ. ველის წერილს ცუდი სუნი უდის, ის მოკლებულია სიფრთხილისა და პასუხისმგებლობის საჭირო „დოზას", რომელიც უნდა იქნეს დაცული ჩვენ გაზეთებში.

ძ ველი.

საქართველოს კურორტები

საბარაკო შოვი.

ამ თვის ოცს შესდგა სხდომა შოვის კურორტის საალმშენებლო კომისიის ამხ. შ. ლეჟავას თავმჯდომარეობით. ამ კრებაზე იყვენ მოწვეულნი მცოდნე პირები და სპეციალისტები-ინჟინრები: პ. აბაშიძე, გ. ჩხეიძე, ტიშკოვი და ა. კაციტაძე, ექიმი ზ. მაისურაძე ამხ. ი. მიქაძე და ვ. მესხი.

კრებაზე იყო დასმული საკითხი შოვის სანატორიუმის აშენების იდეის პრაქტიკულათ განხორციელების შესახებ. კრების მიერ ეს საკითხი იქნა გაყოფილი ორ ნაწილად. საქმე უნდა იქრეს დაწყებული 1) საზოგადო და 2) სახელმწიფო ინიციატივით. საზოგადო ინიციატივის ტეხნიკური მხარეების მოსაწყობათ არჩეულ იქმნა კომიტეტი შემდეგი შემადგენლობით: თავმჯდომარე ა, კაციტაძე, ხაზინადრათ პ. აბაშიძე, თანაშე წეთ აპ. ჭიჭინაძე, ტეხნიკური ნაწილის გამგეთ ინჟ. ტიშკოვი. ამხანაგათ ჩხეიძე, სამნეო ნაწილის გამგეთ ილ. მიქაძე და მდივნათ ექიმი ზ. მაისურაძე, რომელთაც ევალებათ, მიიღონ ყოველ გვარი ზომები (შემოწირულებით, წარმოდგენის და საღამოების გამართვით) შეკრიბონ საქმის დაწყებისთვის საჭირო თანხა აგრეთვე მთავარმა კომისიამ მიიღო თავის თავზე გამოითხოვოს ჯანმრთელობის საკურორტო განყოფილებიდან საჭირო თანხა შოვის მდებარეობის და წყლების თვისების გამოსაკვლევათ.

ვ. მესხი.

პროფკავშირებში

ფეიქართა კავშირში.

სამხატვრო—საჩვენებელი სახელოსნო.

ფეიქართა კავშირის პრეზიდიუმმა თავის უკანასკნელ სხდომაზე დაადგინა: მიწად-მოქმედების სახ. კომისარიატთან არსებულ შინა-მრეწველობის სამხატვრო—საჩვენებელ სახელოსნო სრულიად გადაახალისოს და ამხ. არეშიძეს და ქ ქოძეს დაევალოს სახელოსნოს საქმის მოგვარება.

ცვლილებები კოლექტიურ ხელშეკრულებებში.

პრეზიდიუმმა დაადგინა: შეიტანოს ცვლილებები კოლექტიურ ხელშეკრულებებში განსაკუთრებით იმ მუხლებში, რომლებიც ეხება პროცენტული ანარიცხებს კულტფონდისთვის და 4 პროც. დასწიოს 2 პროც.

სატარიფო შეთანხმება.

პრეზიდიუმმა მოქ. დარბინიანის სახელოსნოსთან დასდო სატარიფო შეთანხმება სამი თვის ვადით. პირველი ხარისხისთვის სატარიფო განაკვეთი დააწესა საქონლის 8 მანეთი. კულტფონდისთვის პროცენტიული ანარიცხი 3 პროც.

ქარხნის მუშები—აგარაკებზე.

პრეზიდიუმმა დაუგზავნა ცირკულიარები თავის ქვემდებარე დაწესებულებების ადგილკომებს, რომ ქარხნის მუშებისთვის მიმდინარე ზაფხულში მუშათა დასასვენებელ სახლებში შეენახოს რამდენიმე ადგილი

რკინის გზის კავშირში.

შრომის კანონთა ახალი კრებული.

რკინის გზის მუშებში შრომის კანონთა განმარტების მიზნით, კავშირის გამგეობა აწარმოებს საგანგებო მუშაობას. აწყობს წრეებს და ლექციებს, სადაც ირჩევა შრომის კანონის კრებულის მთავარი მუხლები.

მცხეთის ხადგურის მუშებში.

პროფრწმუნებულმა ამხ. ლიმაბრიანოვმა კავშირის გამგეობას წარუდგინა მოხსენება ადგილობრივ მუშაობის მიმდინარეობის შესახებ, საიდანაც გამოირკვა, რომ ადგილკომი ხშირად აგვიანებს უმაღლეს პროფორგანოს დადგენილების შესრულებას და ამით ვერ აწარმოებს საჭირო მუშაობას პროფმოძრაობის ირგვლივ, გამგეობამ წინადადება მისცა მცხეთაში რწმუნებულს დაუყოვნებლივ გამოასწოროს ხსენებული ნაკლი.

მუშათა დაზღვევა.

რკინის გზის კავშირის გამგეობამ წინადადება მისცა გორის სამაზრო პროფბიუროს ადგილკომს რომ მოახდინოსიმ მუშათა დაზღვევა, რომელნიც ჯერ არ არიან დაზღვიულნი და განსაკუთრებით ყურადღებით მოეპყრას იმ მუშებს, ვინც მოიჯარადრეებთან მუშაობენ.

დასასვენებელი სახლები.

კავშირმა ჯერჯერობით ვერ მოასწრო თავისი მუშები გაეგზავნა დასასვენებელ სახლებში. პრეზიდიუმმა მიიღო შესაფერისი ზომები და უახლოეს ხანში კავშირის წევრები იგზავნებიან დასასვენებელ სახლებში.

ქრონიკა

ქალაქის აღმასკომში

— **გადასახადები სახნავ მიწებზე.** აღმასკომის მცირე პრეზიდიუმმა დაადგინა შემოღებული იქნას ქალაქის სახნავ მიწებზე საიჯარო გადასახადი.

— **წარწერები ქუჩებისათვის.** წინადადება მიეცა კომ. განყოფილებას დაუყოვნებლივ დაამზადებინოს წარწერები სახელ შეცვლილ და ახალ სახელ დარქმეულ ქალაქის ქუჩებისათვის.

— **ღარიბი ბავშვები აგარაკებზე.** აგარაკ კიკეთში, ჯანმრთელობის სახ. კომისარიატს 80 ღარიბ ბავშვისათვის, დაეთმო საჭირო ბინები.

— **მათხოვართა თავშესაფარი.** სოც. უზრუნველყოფის კომისარიატს ქუჩის მათხოვართა თავშესაფარის გასახსნელად მიეცა მარტყოფის მონასტერთან არსებული შენობები.

— **მოქანდაკე ი. ნიკოლაძის ატელიეს კაპიტალური შეკეთება.** დაევალა აღმასკომის კომ. განყოფილებას შეადგინოს საჭირო ხარჯთ-აღრიცხვა მოქანდაკე იაკობ ნიკოლაძის ატელიეს შესაკეთებლად.

— **კოჯორის საავადმყოფო.** პრეზიდიუმმა კოჯორის საავადმყოფოს მოსაწყობათ გადასდო 50 მილიონი, ხოლო ავადმყოფთა გამოსაკვებად 29 მან. 86 კ. ოქროთი.

— **ფეხსაცმელები ცეცხლის მქრობელ რაზმისათვის.** წინადადება მიეცა საფინანსო განყოფილებას გაიღოს 600 მილ. მანეთი. ცეცხლის მქრობელ რაზმის თანამშრომელთათვის ფეხსაცმელების შესაძენად.

განათლების კომისარიატში

— **მუშათა ფაკულტეტი.** სახ. უნივერსიტეტთან არსებულ მუშათა ფაკულტეტზე მომავალ სამოსწავლო წლისათვის მსმენელების მისაღებად დაიწყო მუშაობა სამანდატო კომისიამ. მისაღებ მსმენელთა რიცხვი განისაზღვრება 250. ამათგან 60 პროცენტი დათმობილი აქვს პროფკავშირებს, 30 ცეკას და 10 პროც. მიწის მუშებს.

— **მუსულმანური სკოლებისათვის.** ამ დღეებში სოც. აღზრდის მთავარმართველობა, აზერბეიჯანის განათ. კომისარიატიდან მიიღებს საჭირო სახელმძღვანელოებს თათრულ ენაზე საქართველოში არსებულ მუსულმანურ შრომის სკოლების საჭიროებისათვის.

— **მისასალმებელი დეპეშა.** განათლების კომისარიატმა ახალ-სენაკის პედაგოგიურ ტეხნიკუმის კურს დამთავრებულებისაგან მიიღო მისასალმებელი დეპეშა, რომლებიც ფიცს სდებენ, რომ მთელ ენერგიას შესწირავენ სკოლის გაჯანსაღების საქმეს და შრომის საფუძვლებზე მის განმტკიცებას,

ჯანმრთელობის კომისარიატში.

— **საავადმყოფოს გაუქმება.** ჯანმრთელობის კომისარიატმა საჭიროდ სცნო გაუქმებულ იქნეს ბებუთოვის ქუჩაზე არსებული საბავშო საავადმყოფო და ქონება გადაეცეს ქალაქის საავადმყოფოს.

სამხედრო რევტრიბუნალში.

— **დეზერტირების გასამართლება** 24 ივნისს, დილის ცხრა საათზე ქართ. წითელ-არმიელთა კლუბში სამხედრო რევტრიბუნალი ქართული დივიზიისა გაასამართლებს საჯაროთ შემდეგ დეზერტირებს: 1. მახარობელიშვილი ნიკოლოზ. 2. კორყოშვილი გიორგი, 3. ოზაშვილი იოსებ, 4. მიხეილ მაისაშვილი, 5. ივანე მაგირაძე, 6. ზანდუკელი რაჟდენ, 7. ვერძეული დავითი, 9. კუპრაშვილი ევგენი, 10 ცირეკიძე შალვა. ბრალმდებელათ გამოვა ქართულ დივიზიის სამხედრო კომისარი და პოლიტგანათლების უფროსი ამხ. თინგიზ ქლენტი.

კოოპერაცია

— **გამომცემლობა.** რედაქციამ მიიღო ჟურნალ „ნიანგის" მეორე ნომერი; გამოცემა სუფთა კარგ ქაღალდზე და მრავალი სურათებით. ჟურნალი ღირს 200 ათასი. გამომცემელი საბჭოთა პრესის ცენტრალური კანტორა.

კრებები და მოხსენებები

— **ქართველ ექიმთა და ბუნებისმეტყველთა საზოგადოებაში.** დღეს, რესპუბლიკის მთავარ საავადმყოფოში შესდგება ჩვეულებრივი სხდომა. დღის წესრიგი: 1) ექ. ახმეტელი ტრაუმატიული 2) ექ. აბაკელია ტუბერკულიოზის საწინააღმდეგო მოსკოვის ყრილობა, 3) ჭ. სარაჯიშვილი მიოკლონიები.

შრომის ბირჟაში.

— უმუშევრები. 21 ივნისისთვის, შრომის ბირჟაში აღრიცხვაზე გამოცხადდა 470 უმუშევარი, ჩაეწერა ახალი უმუშევრები—147, გაიგზავნა სამუშაოზე—61.

სხვა და სხვა.

— **დახმარება ქართველ უდიებს.** შიმშილობის წინააღმდეგ მებრძოლ კომიტეტმა საქართველოში, ქართველ უდიების დასახმარებლად გადასდო 200 ფ. ფქვილი, 20 ყუთი კონსერვი, 50 წყვილი ფეხსაცმელი, ფართლეულობა და სხ.

— **დახმარება ალბულაღის დამშეულებს.** ტფ. აღმასკომმა საქ. დამშეულთა დახ. კომიტეტისაგან მიიღო 1000 ფ. პურის ფქვილი ალბულაღის თემის დამშეულთათვის დასახმარებლად.

ქუთაისის სახელ. აკადემიური დასის შემადგენლობა სეზონი 1923—24 წ.

ქალები:

1. ელისაბედ ჩერქეზიშვილი, 2. თამარ აბაშიძე, 3. ნინო წინწილი, 4. მჭედლიშვილი სიბილა, 5. ნუნუ მაჭავარიანი, 6. ყენია ნინო, 7. გოგოლაშვილი ელენე.

ვაჟები:

8. ვალერიან გუნია, 9. ვიქტორ გამყრელიძე, 10. იუზა ზარდალიშვილი, 11. ანდრია მურუსიძე, 12. შალვა ხონელი, 13. პავლე ფრანგიშვილი, 14. გიორგი თუთბერიძე, 15. მიხეილ სარაული, 16. მიხეილ ნემო, 17. ვარდენ ადამია, 18. გიორგი ბახტაძე დევისონი, 19. სვანიძე, 20. რაზიკაშვილი

რეჟისორები:

1. ვალერიან გუნია, 2. იუზა ზარდალიშვილი.

რეჟისორის თანაშემწე.

1 კუკური პატარიძე.

მოკარნახე.

1. კ. დოლონაძე.

პარიკმახერი.

1. ნიკიფორე ქათამაძე.

მემანქანენი:

1. ს. ჭელიძე, 2. ო. დადიანი.

დასის ხელმძღვანელი **იუზა ზარდალიშვილი.**

სეზონი დაიწყება 15 სექტემბერს ალ. შანშიაშვილის პიესით „ბერდოზმანია".

ხელოვნება

მხატვარი მ. თოიძის სტუდიის სურათების გამოფენა.

გამოფენა მეტად მრავალრიცხოვანია და მოთავსებულია პოლიტეხნიკურ ინსტიტუტის (ყ. არტისტიული საზოგადოება) ორ დიდ ოთახში. გამოფენა სასიამოვნო შთაბეჭდილებას ახდენს. პირველ ყოვლისა სჩანს ერუდიცია და განსაკუთრებული ინტენსივობა მუშაობაში. არის ტილოები, რომელნიც ავტორების მხატვრულ ნიჭს ამტკიცებენ.

პირველ ყოვლისა უნდა ითქვას, რომ გამოფენილია სტუდიის მცირეწლოვან მოწაფეთა მრავალი სურათები და აი აქ თქვენ გრძნობთ, რომ ამ ახალგაზრდებში ბევრი არის ნიჭით დაჯილდოებული. საერთოდ თოიძეს სტუდიის გამოფენა მრავალმხრივი და კოლორიტულია. ეგრედ წოდებულ „საბავშვო" განყოფილებაში სჭარბობს ეროვნული მოტივები, იქ არ არის, რასაკვირველია, დამთავრებული ნამუშევარი, მაგრამ არის ბევრი ესკიზები, რომელნიც ამტკიცებენ, რომ განყოფილებაში ვითარდება მხატვრობის ნაციონალური სკოლა; აქ ყველაზე უფრო მოსაწონი ის არის, რომ ნიჭი ნორმალური გზით ვითარდება და ის შორს არის იმ ანომალიიდან, რომელიც ზოგიერთ მხატვარს ახასიათებს. საბავშვო განყოფილების ესკიზების გარჩევის დროს შეუძლებელია ცალ-ცალკე სახელების დასახელება, რადგან არ არის კატალოგი. ამ განყოფილებაში მრავალი, რასაკვირველია, ბავშვების ნახატებია, მაგრამ ისინი უკვე ამტკიცებენ საინტერესო მიმართულებას იმ მხრივ, რომ აქ უკვე სჩანს თუ როგორ უნდა იყოს შეფარდებული სურათისათვის ესა თუ ის საღებავი და ესა თუ ის კოლორიტი—და არის აგრეთვე ეპოქასთან გაცნობაც. მაგალითად, ყურადღებას იქცევს ესკიზები თამარ მეფის ეპოქის დროინდელ საქართველოს ისტორიიდან, ესკიზები ქართულ ლეგენდებიდან (აბესალომ და ეთერი). რასაკვირველია, ესკიზები პრიმიტიული და გულუბრყვილოა, მაგრამ არ უნდა დაგვავიწყდეს, რომ ეს პატარა ბავშვების ნახატებია.

არის ესკიზები გლეხების ყოფა-ცხოვრებიდან (მაგ. „ყურძნის მოკრეფა") კარგებია; „სამჭედური", „ლეკური", „ბავშვი შარმანკით", „სოფლის ქორწილი"—ამ ესკიზებში ნიჭის გარდა სჩანს ცხოვრების სინამდვილეც. ბავშთა ნამუშავერიდან ყველაზე უფრო ნათელი და ლამაზი ნიჭის მხრივ არის პატარა გოგი თოიძის სურათები და ესკიზები. მაგალითად „შოთა რუსთაველის მიღება თამარ მეფის მიერ". ეს სურათი, რა თქმა უნდა, გადაღებულია—მაგრამ ასლი კარგია, დედოფლის, მისი ამალისა და მგოსნის ფიგურები ნამდვილია. ნახატი სურათები—ესენი უკვე დამოუკიდებელი სურათებია: „საშუალო საუკუნოების ქართველი მეომრები", „მოჭიდავენი" და სხვა.

მრავალმხრივია ტიტველ ნატურის განყოფილება. ყველა ესკიზები—ნახშირით არის გაკეთებული. უფრო მოზრდილ სტუდიელთა ნამუშევრიდან ყურადღებას იქცევს სილოვან კაკაბაძის სურათები; მაგალითად „ბუხართან"—დამახასიათებელი ტიპებით და ცხოვრების სინამდვილის მოწყობილობით. (ცეცხლი ბუხარში). განსაკუთრებით კარგებია კაკაბაძის აღმოსავლეთური ტიპები. კარგებია სტუდიელ ლეჟავას „ბაზარი", „მეჩეთის მოწყობილობა", „ქართულ კაცებისა თა ქალების ტიპები ეროვნულ ტანთსაცმელში", კარგია აგრეთვე „ბებრები"—ჩერნიშევისა. ყურადღებას იქცევს მატილდა მდებრიშვილის, სანაძის, ხრიკელის და ვიოლიას ნამუშევრები; კარგია მათი „ქართველი გობელენები"—მათ ახასიათებს სხვადასხვანაირ კალეიდოსკოპში თვალისმჭრელი საღებავები, სწორი სიმეტრია და კოლორიტი;—არ ვიცი, რომელ მათგანს ეკუთვნის გობელენი „აღმოსავლეთური ცეკვა"—მეტად ლამაზია ეს გობელენი.

კარგია გვანცალაძის „კინტოური". კომპოზიციის მხრივ კარგია დარეჯან ძნელაძის სურათები: „ყურძნის შეგროვება", „ბებერი ქალი", „მეგრელი", „ესკიზი აბესალომ და ეთერიდან"—აქ არის მომწიფებული აზრიც და დახელოვნებული ხელიც.

ბერეტაშვილის სურათებიდან ყურადღებას იქცევს „თამარ მეფე იღებს ომიდან დაბრუნებულ ჯარსა და სარდლებს". არ შეიძლება ყურადღება არ მივაქციოთ ირაკლი თოიძის ნაწარმოებებს (ის სტუდიის მასწავლებელია); კარგია მისი კომპოზიტორ არაყიშვილისა, ბელეტრისტ ბარნოვისა და სხვათა პორტრეტები. ნათელი კოლორიტი და სიმხიარულე სჭარბობს სურათში „ყვავილები"—ბავშვთა მოღიმარი მზით განათებული თავები და როგორც კონტრასტი დედა, რომელიც ჩრდილში ისვენებს.

კარგია „ლიხაურის მუხა გურიაში", „სამწვადე" (არაჩვეულებრივად რეალური), პორტრეტებიდან კარგია პოეტ გრიშაშვილის პორტრეტი.

ირაკლი თოიძის დიდ ტილოებიდან მაყურებლის ყურადღებას იქცევს სურათი „რევოლიუცია"—აქ ალეგორია და სიმბოლიზმია. სურათი რამოდენიმედ ტენდენციოზურია, მაგრამ კომპოზიციის მხრივ საინტერესოა. სურათში სჭარბობს წინსვლის იდეა. კარგია მხედარი შავს ცხენზე წითელი დროშით ხელში, კარგია მუშების სახის გამომეტყველება, რომელნიც რევოლიუციას ესალმებიან, მაგრამ კიდევ უკეთესია მწუხარე ქალთა ფიგურები წინა ფონზე—მწუხარე რევოლიუციის მსხვერპლის გამო. კარგია განათება. კარგია აგრეთვე კონტრასტები ზეიმსა, გამარჯვებასა და მწუხარებას შორის. სტუდიის დირექტორმა მოსე თოიძემ გამოჰფინა რამდენიმე სურათი; აღვნიშნავ „საეკლესიო დღესასწაული მცხეთაში" — სურათი სინამდვილის ასახვაა.

„ჩანჩქერი"—აქ კარგია მზის ფერები ბალახზე. თვით „ჩანჩქერი" რამოდენიმედ ტრაფარეტულია. კარგია პ. ინგოროყვას პორტრეტი, კარგია აგრეთვე „ბაგრატის ტაძრის ნანგრევები", „განთიადი"—აქ გათენების მშვენიერი ტონებია, ღამეს ჯერ კიდევ არ დაუკარგავს თავისი უფლებები, მაგრამ განთიადი შორს არ არის (მე მგონია ეს ალეგორია უნდა იყოს); საუცხოვოა პროფესორ მელიქიშვილის პორტრეტი. პატივცემული მეცნიერი ცოცხალივით გამოიყურება.

მეტად ძლიერ შთაბეჭდილებას სტოვებს მისი სურათი „შვილის საფლავზე". კარგია კონტრასტები, მშობლების მწუხარე სახეები და ბავშვის უდარდელი სიხარული სიმწვანისა და მზის დანახვაზე.

ბევრი კარგი ნამუშევარია. სამწუხაროდ, საგაზეთო წერილში ყველაფერს ვერ ავღნიშნავ. ყოველ შემთხვევაში ეს გამოფენა ნათელ და მხიარულ შთაბეჭდილებას სტოვებს—გრძნობ სამხატვრო შემოქმედების სიცოცხლეს.

ჭველი.

—

საბავშვო თეატრი.

მომავალ სეზონში სახ. საბავშვო თეატრის მუშაობა განზრახულია შემ-

ეროვნული ბიბლიოთეკა

მუშათა ცხოვრება

მუშა—მსახიობი
ბესო მაისურაძე

ასოთ-ამწყობ ბესო მაისურაძეს

(მისი 30 წლის მოღვაწეობის გამო).

ჩემნაირად ტანჯულ მუშამ
სილარიბე ბევრი ნახე,
გაჭირება, დამცირება,
სიდუხჭირე, სივაგლახე;

გზა სავალი ეკლიანი
გადათელე, გადალახე,
და ეგ შენი სისპეტაკე
შეირჩინე, შეინახე.

—

ამისათვის გადაგკოცნი
საყვარელო, ძმაო ბესო!
ბევრი კარგი გითესია,
კიდევ ბევრი უნდა სთესო,

ამწვანებულ ჯეჯილისთვის
ნამგალს პირი გაულესო,
რომ მოყვარე გაახარო
და ბოროტი აავენესო!

—

ოცდაათი წელიწადი
ოფლსა ღვრი და მაინც გშიან,
სიტყვის ნებას ვინ მოგცემდა,
რადგანაც შენ მუშა გქვიან.

ახლა—„ვაშა“ შრომის გმირებს—
თავისუფალ ხელს გიწვდიან!
გასწი, გასწი, ფრთა გაშალე,
„მომავლები“ წინ გიცდიან!

—

მუშებს შორის საამაყო,
საამური, საქებურო,
მინდა კვლავ დიდხანს იცოცხლო,
კეთილ საქმეს ემსახურო,

იყავ მარად შუბლ-მღიმარე,
გული ღია არ დახურო;
მეტი ძღვენი მე არა მაქვს,
თუ ძმა ხარ—არ დამემდურო!

ასოთ-ამწყობი გიგო ხეჩუაშვილი.

ამხ. ბესო მაისურაძეს

განთიადიდან მწუხრის ჟამამდის
„წვრილმან ლითონებს“ ამოძრავებდი,
შავ ზოლებ შუა ფუჯრებად სხამდი
ასოს ასოზედ აკონავებდი.

მკერდ გაღეღილი ყუთებთან იდექ
დაბნეულ მარცვლებს სასწრაფოდ ჰკრეფდი,
სევდის ღიღინით, მწარის ღიმილით
შენსა საზრდოსა იქ დაეძებდი.

როს მორჩებოდი ლითონის „ჩიკჩიკს“,
დაუყოვნებლივ სადღაც გარბოდი
და დაქანცული მძიმე შრომითა
ღარიბ უბნებში სცენებს აწყობდი.

ეს იმ დროს იყო, როს ჩვენს გარშემო
მზე სხივოსანი აღარ ბრწყინავდა;
მშრომელი ხალხი ქედმოდრეკილი
მონის უღელქვეშ მწარედ გმინავდა.

ბნელ სარდაფებში დატანჯულებსა
არსით არ უჩნდათ გზა გასავალი...
ვინ გაუღებდა მათ დახშულ კარებს,
თუმც სინათლისკენ ეჭირათ თვალი.

ოცდა ათ წელსა თავსა ევლები
სახალხო სცენას, ვით საყვარელსა,
სცენიდგან ელი მშრომელთა შველას
მიტომ გიყვარს ის, არ იღებ ხელსა.

მაშ, გაგიმარჯოს შენ, სპეტაკ მუშაკს,
ხალხისგან აღზრდილს შრომისა შვილსა,
რომელიც მუდამ გვიქადაგებდი
ძმობა ერთობას, გვიფრთხობდი ძილსა!

მუშა გ. შინატებელი.

მუშა-მსახიობ ბესო მაისურაძის იუბილე.

(მისი 30 წლის მუშათა სცენაზე მოღვაწეობის გამო).

დღეს თბილისის საზოგადოება და განსაკუთრებით თბილისის მუშები მართავენ არაჩვეულებრივ იუბილეს. რუსთაველის თეატრში დღეს იმართება მუშა ბესო მაისურაძის იუბილე მისი 30 წლის სასცენო მოღვაწეობის აღსანიშნავად. ვინ არის ბესო მაისურაძე? ამხ. ბესო ხელობით ასოთ-ამწყობია და იმავე დროს არის უანგარო და დაუღალავი მუშაკი სახალხო სცენაზე. ამხ. ბესომ დაიწყო სახალხო წარმოდგენების მართვა ქალაქის განაპირა უბნებში იმ დროიდან, როდესაც სცენას და საერთოდ თეატრს, ისე უყურებდა ბურჟუაზიული საზოგადოება, როგორც ერთ რომელიმე გარყვნილების გამავრცელებელ დაწესებულებას და სწორეთ აი ამ დროს ბესო მაისურაძე მაინც გულს არ იცრუებს თავის საყვარელ საქმეზე და უფრო გაორკეცებული ენერგიით ებრძვის „გონებით ბნელ საზოგადოებას და უფრო აძლიერებს სახალხო წარმოდგენების მართვას. ის არ ზოგავს არაფერს იმისთვის, რომ თავისი დიდი საქმე მკვიდრ ნიადაგზე დააყენოს. ამისათვის ამხ. ბესო მაისურაძეს ხშირათ ქალის როლებშიაც უხდება გამოსვლა; ბესო ხშირად პარიკმახერიც, თერძიც, რეჟისორიც, თეატრის გამგეც, სცენარიუსიც და სცენის მომწყობიც იყო. ერთი სიტყვით ბესო მუშათა თეატრისათვის ყველაფერი იყო და იმდენად თავდადებულად მუშაობდა სცენაზე, რომ ხშირად გრიმში და ქალის ტანსაცმელში გამოწყობილი ძველ ჯალათებს დაუპატიმრებიათ იგი, რადგანაც მაშინდელი მთავრობა ასეთ სახალხო წარმოდგენებს და გასართობებს სპობდა. ამხ. ბესო მაისურაძე იმ დარგის მუშაა, რომელიც საზოგადოების შეუმჩნევლად ემსახურებოდა როგორც სახალხო წარმოდგენებს, ისე მწიგნობრობასაც. როგორც ასოთ-ამწყობი და როცა ამ მძიმე სამუშაოს მორჩებოდა, ის ისევ თეატრის საქმეებს უბრუნდებოდა და ამგვარად მან 30 წელიწადი გაატარა მუშათა უბნებში და დღევანდლამდე იმასვე ემსახურება. ამიტომ მისი მოღვაწეობით კმაყოფილმა მუშათა მასამ გადასწყვიტა ასეთ მხნე და მომაგე მუშას პატივი სცეს და რამდენადაც შესაძლებელი იქნება ნივთიერად უზრუნველ ჰყოს იგი.

თუმცა ჩვენ, მუშები, დარწმუნებული ვართ იმაში, რომ ასეთი ჩვენი გამოხმაურება მუშა ბესო მაისურაძის მიმართ ერთ ნაწილს საზოგადოებისას ბევრად არ ესიამოვნება, რადგანაც ბესო მაისურაძე ბურჟუაზიის წრიდან არ ყოფილა და მათი ესტეტიური გრძნობები მას არ დაუტკბია სცენიდან, მაგრამ ჩვენ, მუშებსაც, შეგვიძლიან ღირსეული ადამიანის დაფასება და იმედია, რომ ბესო მაისურაძის იუბილე როგორც მუშისა, უკანასკნელი არ იქნება, რადგანაც ამისთანა მხნე მუშები ბევრი გვყავს და იმათაც თავის დროზე შესაფერისად გაუმასპინძლდებით.

გაუმარჯოს მუშათა შეერთებულ ძალას და მათ წინსვლა-წარმატებას!

გაუმარჯოს ჩვენს უანგარო მუშა-მსახიობს ამხ. ბესოს!

მუშა ალ. ბ—შვილი.

მუშა მსახიობ ბესო მაისურაძის იუბილე.

შაბათს, 23 ივნისს რუსთაველის თეატრში გამართული იქნება მუშა მსახიობ ბესო მაისურაძის იუბილე.

საქართველოში იუბილეები ბევრი გამართულა, როგორც მწერლების, ისე მსახიობების, მაგრამ მუშა მსახიობის იუბილე დღეს პირველია ჩვენს ქვეყანაში. ბესოს მოღვაწეობა პირველად ავლაბრის ყრუ უბნებში დაიწყო სახალხო წარმოდგენების მართვით. ეს წარმოდგენები იმართებოდა ხან მუქთათ, ხან ძალიან მცირე ფასებში. ამ სახალხო წარმოდგენებს ბევრი რამე ეღობებოდა წინ, როგორც იყო ნებადაურთველობა, უბინაობა, უტანისამოსობა, მსახიობ ქალების უყოლობა და ბევრი კიდევ სხვა. მაგრამ ბესოს და მის სხვა ამხანაგების ენერგია იმდენად დიდი იყო და ხალხისადმი სიყვარული იმდენათ ღრმად იყო მათ ძვალსა და რბილში გამჯდარი, რომ ეს დაბრკოლებები მათ ვერ აჩერებდნენ.

სახალხო თეატრის ისტორიას თვალი რომ გადავავლოთ, დავინახავთ, რომ სახალხო წარმოდგენების ინიციატორებათ სხვა და სხვა უბნებში თითქმის მარტო მუშები ყოფილან, და აი ბესოც სწორეთ ერთი ამ მუშათაგანია, რომელიც სულის ჩამდგმელი იყო ავლაბრის სახალხო წარმოდგენებისა.

აწყობდა სცენებს, თამაშობდა ხშირათ ქალების როლებს, ერთი სიტყვით მზათ იყო ყოველივე სახალხო საქმისათვის. ავლაბარში სახალხო წარმოდგენები უფრო გაფართოვდა იმ დროს, როდესაც აშენდა, „მურაშკას“ და „არაქსიანისეული“ თეატრი, მაგრამ უბედურება ის იყო, რომ ამ თეატრებს ქირა უნდოდა და სცენის მოყვარენი იძულებულნი იყვნენ ბილეთების ფასი გაედიდებინათ, ისე რომ მარტო თეატრის ხარჯი მაინც დაეფარათ, მაგრამ ხშირათ შემოსავალი კლებულობდა და სცენის მოყვარეებს უხდებოდათ ამ ხარჯის გასწორება თავიანთ ჯიბიდან, ისე რომ მუშა-მსახიობის მოღვაწეობა დიდათ გაირჩეოდა სხვათა მოღვაწეებისაგან, როგორც უსასყიდლო მუშაობა და ამასთან ისეთი, რომელიც საკუთარ ფულის ხარჯვასაც თხოულობდა. ასე გრძელდებოდა არა ერთ კვირას, ან ერთ თვეს ან წელს, არამედ სამი ათეულ წელს. 30 წელი მუქთად მუშაობდე და თანაც შენსას ხარჯავდე. ასეთი იყო ჩვენი ბესო. აი, ვის უხდით დღეს იუბილეს.

მუშა-მსახიობი გიორგი ჯაბაური.

თბილისის სახალხო სადგურში

ა. წ. 19 ივნისს შესდგა თბილისის სახ. სადგურის მუშა-მებარგეების კრება, რომელსაც დაესწრო 50 კაცი. კრების თავმჯდომარედ იქნა არჩეული „ც.-ტრამოტის“ ადგ. წარმომადგენელი; ამხ. ა. თოდრია. კრებას დაესწრენ აგრეთვე სადგურის ადმინისტრაციის წარმომადგენლები ხვედელიძე და ხიტაროვი. მოხსენება გააკეთა ხვედელიძემ. მან გააცნო კრებას ის არა სასურველი მოვლენა, რომელსაც ჰქონდა ალაგი ამ დღეებში და წინეთაც. საქმე შემდეგშია: ტვირთვა-გადმოტვირთვის დროს სამუშაოზე კერძო არტელის მუშებიც ერევიან, რომლის უფლება მათ არ აქვთ. მომსვლელი მოგზაურები მათ ვერ არჩევენ და ამის გამო ჩვენ მუშებს შორის ხდება გაუგებრობა. ხშირათ არის შემთხვევა მიბარებულ ბარგს კერძო არტელის მუშები, როგორც უპასუხისმგებლონი, იტაცებენ და გარბიან. ამით კი პატიოსანი ადგილობრივი მუშა-მებარგეებიც ილანძღებიან. ამიტომ ჩვენს მებარგეებს უნდა ექნეს წინსაფარზე განსაკუთრებულ ადგილას წითელი ნიშნები, რომლებიც ჩვენ მოგვცემს საშუალებას—გავარჩიოთ „შინაური გარეულისაგან“ და არ იქნეს როგორც მატარებელზე, ისე სადგურში კერძო ნომრიანი პირები. ამით ჩვენ შევძლებთ წესიერად დავიცვათ ჩვენზე დანაკისრი საქმე. საჭიროა ეს დადგენილება სასწრაფოთ იქნას გატარებული ცხოვრებაში.

მუშა ხიდისთაველი.

სანიტარო-საკურორტო კომისია.

(საპასუხო წერილი იხ. „კომუნისტი“ № 133).

გაზეთ „კომუნისტი“-ს ნომერში მოთავსებული იყო „ვინმე მუშა ავადმყოფის“ წერილი, რომელიც ამხანაგი „მუშა ავადმყოფი“ უსაყვედურებს კომისიის თავმჯდომარეს კამალოვს იმას ვითომც და მისი მუშაობა კომისიაში გამოიხატებოდეს იმაში, რომ მან სპეციალურად თავის ნაცნობებისათვის პროტექცია გასწიოს აღნიშნულ კომისიაში. მე, როგორც მუშა წევრი ამ კომისიისა, ვარწმუნებ ამხანაგ მუშას, რომ ასეთ პროტექციას კომისიაში არ ჰქონია ადგილი და არც იქნება შემდეგშიც.

მართალია, რიგს გარეშე იყო მიღებული და გასინჯული რამოდენიმე ავადმყოფი, მაგრამ ეს შეეხებოდა მხოლოდ მძიმე ავადმყოფებს, რომლებსაც დიდხანს ცდა არ შეეძლოთ. ექიმი კამალოვი მათ აქცევდა ყურადღებას, და კიდევაც რიგს გარეშე ღებულობდა მათ. ამას გარდა ამხანაგი „მუშა ავადმყოფი“ უსაყვედურებს კომისიას, რომ კომისიის ბინაზე „არ არის საკმაო რიცხვი სკამებისა, რომ ავადმყოფთ ჰქონდეთ საშუალება დაჯდენ მაინც“. რასაკვირველია, კარგი იქნებოდა, თუ თითეულ ავადმყოფისათვის დამზადებული იქნებოდა რბილი სავარძელი დასასვენებლად, მაგრამ ამის საშუალება კომისიას არ აქვს. მთავარმა საავადმყოფომ დაუთმო დროებით სამი ოთახი კომისიას, დიდ ბალკონზე სდგას 5 დიდი სკამი ავადმყოფთათვის და მძიმე ავადმყოფებს აქვთ სრული საშუალება დასვენებისა ამ სკამებზე.

კომისიის მუშაობა ძალიან მძიმე და საპასუხისმგებლო საქმეა. 1.500 ავადმყოფიდგან უნდა აირჩეს სანატორიუმში გასაგზავნათ 131, ჩვენი მცადინეობა იმაში გამოიხატებოდა უმთავრესად, რომ სანატორიუმში მოხვდნენ სწორედ ის პირნი, რომელთაც ძალიან ესაჭიროება წამლობა, ხოლო ამისთვის სახსარი არ აქვსთ.

რასა თქმა უნდა, ყველას ვერ დააკმაყოფილებს კომისია, ბევრი მათგანი, ვინც ვერ მოხვდება ამ 131 რიცხვში, გული ნატკენი და დაუკმაყოფილებელი დარჩება, მაგრამ მათ უნდა იცოდენ, რომ მისი ადგილი დაიჭირეს უფრო მძიმე და ღარიბ ავადმყოფებმა და თუ თვითეული ჩვენგანი გაიმსჭვალება ამ აზრით, მაშინ ადგილი არ ექნება ისეთ საყვედურებს, როგორც გამოსთქვა ამხანაგმა „მუშა ავადმყოფმა“.

სააგარაკო კომისიის წევრი
ს. მახულია.

დეგი სახით: 1) მცირეწლოვანთათვის წარმოდგენები გაიმართება სახ. საბავშვო თეატრის ძალებით; 2) სკოლაში გასამართავი წარმოდგენები, მიჩნეული საუკეთესოდ, გადატანილი იქნება საბავშვო თეატრში; 3) წარმოდგენები მოზრდილთათვის. ამ სამი მიზნისათვის უპირველესად საჭიროა შესაფერი დასი და რეპერტუარი. რუსული დასი უკვე შემდგარია, ა. სუმბათაშვილ-იუჟინის სახელობის სტუდიელებისაგან.

ამ ჟამად სწარმოებს მუშაობა ქართულ დასის შესაქმნელად. სომხურ და მუსულმანურ წარმოდგენების ჩასატარებლად კი უკვე მოხდა შეთანხმება აღნიშნულ ეროვნებათა დასებთან, რომლის ძალით თვეში ერთხელ საბავშვო თეატრში, სასკოლო წარმოდგენებს გარდა, გაიმართება სომხური და მუსულმანური წარმოდგენები.

რეპერტუარი შემდგარია რევოლიუციონურ, სალიტერატურო-ისტორიული და დადებითი ტიპების მსახველი პიესებისაგან.

ქართულ ენაზე მცირეწლოვანთათვის: 1. მარტო უნახავი, 2. სკაპენის ცუღლუტობა, 3. ობოლი, 4. კოტეს დანაშაული, 5. პრინცი მელორე, 6. ყვავილთა შორის, 7. მდგმური, 8. ცელქი გოგია, 9. ითიგენია—ტროას ომიდან, 10. ლურჯი ფრინველი, 11. კაპიტან გრანტის ბავშვები (თარგ.) 12 ძია თომას ქოხი (თარგ.), 13. 80 დღე ქვეყნიერების გარშემო (თარგ.), 14. სხვადასხვა ეროვნებათა ბავშვთა ცხოვრების ინსცენიროვკა (თარგ.), 15. პირველყოფილი ბავშვის ცხოვრება (თარგ.). მოზრდილთათვის: 1. სამანიშვილის დედინაცვალი, 2. ირინეს ბედნიერება, 3. სულელი, 4. ეგნატე ნინოშვილის სალამო, 5. ილია ჭავჭავაძის სალამო, 6. აკაკი წერეთლის სალამო, 7. ალექსანდრე ყაზბეგის სალამო, 8. შენი ჭირიმე, 9. შლუკი და იაუ. თარგმანები: 1. დავით კაპერფილდი, 2. ოლივერ კრომველი, 3, კანცლერი და ზეინკალი.

ვინაიდან საჭირო ბინა ვერ გამოინახა, საბავშვო თეატრი წელს მოწყობილი იქნება წითელ-არმიელთა ცენტრ. კლუბში.

თეატრი მატერიალურათ უზრუნველყოფილია სოც. აღზრდის მთავარმმართველობის მიერ. დასასრულ აღსანიშნავია, რომ სამზადისი მუშაობა სახ. საბავშვო თეატრის დასაარსებლად თითქმის დამთავრებულია და ამ ჟამად უმთავრესი ყურადღება მიქცეული აქვს მის იდეურ მხარეს.

X

—

— **ბესო მაისურაძის იუბილე.** დღეს, რუსთაველის თეატრში გაიმართება მუშა-მსახიობის ბესო მაისურაძის 30 წლის იუბილე. მისივე მონაწილეობით წარმოდგენილი იქნება მოქმედებები: „ხანუმადან“, „რაც გინახავს ველარ ნახავ“ და სხ. დასასრულ გაიმართება საზეიმო სხდომა.

— **„თეატრი და ექსპრესიონიზმი“.** ორშაბათს, 25 ივნისს, რუსთაველის თეატრის სარკის დარბაზში კონსტ. გამსახურდია წაიკითხავს მოხსენებას: „თეატრი და ექსპრესიონიზმი“ დისპუტში მონაწილეობას მიიღებენ: გრ. რობაქიძე, კ. მარჯანიშვილი, ლ. ანდრონიკაშვილი, ი. ტატიშვილი, აკ. ფალავა. დასაწყისი სალამოს 9 საათზე.

— **სიმფონიური კონცერტები სახელმწიფო ოპერაში.** 26 ივნისიდან, სახელმწიფო ოპერის თეატრში დაიწყება სიმფონიური კონცერტები ამავე თეატრის ორკესტრის სრული შემადგენლობით.

— **სამხატვრო სტუდია.** მოსკოვის სამხ. თეატრის მეორე სტუდიის მიერ დღეს გაიმართება უკანასკნელი წარმოდგენა „წარღვნა“.

— **ცნობილ რეჟისორ მეიერხოლდის ჩამოსვლა თბილისში.** ახლო ხანში თბილისში ჩამოვა რუსეთის ცნობილი რეჟისორი მეიერხოლდი, რომელიც წაიკითხავს ლექციას მემარცხენე თეატრზე. აგრეთვე მისივე რეჟისორობით წარმოდგენილი იქნება რამდენიმე პიესა.

— **მოსკოვის სამხატვრო თეატრის მეორე სტუდია ბათომში.** 24 ივნისს მოსკოვის სამხ. თეატრის მეორე სტუდია თბილისში გასტროლების დასრულების გამო მიემგზავრება ბათომს, შემდეგ—მოსკოვს. სტუდია ბათომში დარჩება 15 ივნისამდე.

— დღეს, შაბათს, 23 ივნისს, სახელოვნო კლუბში პლ. პრ. № 66 მიხეილ კავსაძის სახალხო მომღერალ მგალობელთა გუნდის მიერ გაიმართება დიდი საინტერესო კონცერტი სამ განყოფილებათ.

პროვინციაში

ოზურგეთ-ჩოხატაურის გზა-ტკეცილი.

ოზურგეთ-ჩოხატაურის გზატკეცილი აერთიანებს დასავლეთ და აღმოსავლეთ გურიას. ამ გზას დიდი მნიშვნელობა აქვს როგორც გურიის მცხოვრებლებისათვის, ისე ფოსტა-ტელეგრაფებისათვის.

დღეს ეს გზატკეცილი უნუგეშო მდგომარეობაშია. ალბათ ყველას ახსოვს გასული წლის შემოდგომის ნიაღვარი, რომელმაც ბევრ სხვა რამესთან ერთად წაღეკა ამ გზატკეცილის ცემენტის ხიდები; ამათ შორის დაზიანებული იყო ჩოხატაურში შესასვლელი და ბოგაზოულის წყლის 3 ხიდი. მათი შეკეთება დროზე მოახერხა სამაზრო აღმასკომმა, ამ ხიდებზე დროებით შეიძლება მგზავრობა.

ბახვის წყლის და ნატანების წყლის ცემენტის ხიდები სრულიად განადგურებულია. ამ ორ მდინარეზე მგზავრობა დღის ყოვლად შეუძლებელი ხდება, რადგან გაზაფხულზე წამოსულმა ზვავის წყალმა გასასვლელი ალაგები სრულიად მოშალა.

მგზავრები დიდ გაჭირვებას განიცდიან. მეურმე გლეხები თავის ბედს სწყევლიან, მათ უგზობის გამო ხშირათ ურმები უტყდებათ და უხდებათ იქ ყოფნა მთელი დღეობით.

სამაზრო ხელისუფლებას ძალიან ბევრი საქმეები აქვს დაწყებული, მათ შორის — ოზურგეთ-ნატანების რკინის გზის გაყვანა, მაგრამ როდესაც რკინის გზა შემოდის ოზურგეთში, ამ გზატკეცილს უფრო მეტი მნიშვნელობა ეძლევა, ვიდრე მას ქონდა წარსულში. ამიტომ, სანამ შემოდგომა დაიწყებოდეს, როცა შეუძლებელი შეიქნება მაზე გავლა, საჭიროა აგრეთვე როგორც ამ ორ ხსენებულ ხიდის გაკეთება, ისე გზატკეცილების შეკეთება.

აღნიშნული ორი ხიდის გაკეთება ეს პატარა საქმე არ არის. ეს დიდ თანხას მოითხოვს. საჭირო იქნება სამაზრო ხელისუფლებამ აღძრას შუამდგომლობა სადაც ჯერ არს დახმარებისათვის.

აქაური მუშა.

მთავრობის მოქმედებანი და განკარგულებანი

წესები

გადასახადის დადებისა აქტებზე, რომელიც შეეხება შენობათა ჩამორთმევას, ან შენობათა აგების უფლებას ქალაქებში და ქალაქ გარეთა ადგილებში.

ა. კ. ცენტრ. აღმასრ. კომიტეტის და ა. კ. სახალხო კომისართა საბჭოს დეკრეტი 1923 წლის აპრილის 2-ს თარიღით, განყოფილება 2, თავი 8, მუხლი 6, პუნქტი 18 (ქალაქებში) და პუნქტი 2 (ქალაქ გარეთა ადგილებში).

1. გადასახადი იმ აქტებისა, რომელიც შეეხება შენობათა ჩამორთმევას, ან შენობათა აგების უფლებას, უნდა შეეწეროს ყველა აქტს, რომელიც შედგენილი იქნება იუსტიციის სახალხო კომისარიატის ადგილობრივ ორგანოთა მონაწილეობით და ან რომელიც წარედგინებათ მათ დასამოწმებლად.

2. გადასახადის რაოდენობა არ უნდა აღემატებოდეს სახელმწიფოებრივ ბაჟის 100 პროც.-ს როგორც ქალაქებში, ისე ქალაქ გარეთა ადგილებში და ამ ფარგლებში აღმასკომები აწესებენ რაოდენობას.

3. გადასახადის გამორთმევას აწარმოებენ იუსტიციის სახალხო კომისარიატის ორგანოები პირველ მუხლში ნაჩვენებ აქტების შედგენისა, ან დამოწმების დროს.

4. გადასახადის ჯამები, აკრეფილი იუსტიციის სახალხო კომისარიატის ორგანოთა მიერ, შეტანილ უნდა იქმნას ფინანსთა სახალხო კომისარიატის კასებში ადგილობრივ აღმასკომთა დეპოზიტში კვირაში ორჯერ მაინც.

ა. კ. ფინანსთა სახალხო კომისარი: თუმანოვი.

ა. კ. ფინანსთა სახალხო კომ. კოლეგიის წევრი: ერქომაიშვილი.

—

წესები

გადასახადის დადებისა საკლავ საქონელზე და სხვა შინაურ პირუტყვებზე, ცხენების გამოკლებით ქალაქებში.

ა. კ. ცენტ. აღმასრ. კომიტეტის და ა. კ. სახალხო კომისართა საბჭოს დეკრეტი 1923 წლის აპრილის 2-ს თარიღით, განყოფილება II, თავი III, მუხლი 6, პუნქტი 12.

1. საკლავ საქონელზე და სხვა შინაურ პირუტყვებზე დაწესებული გადასახადი უნდა შეეწეროს: ა) მსხვილფეხა საკლავ საქონელს (ხარს, ძროხას, კამეჩს), ბ) ტვირთმზიდველ პირუტყვებს (სახედარი, ჯორი, ცხენი, აქლემი) გარდა ცხენისა, რომელიც საგანგებო წესით იბეგრება, გ) წვრილფეხა საკლავ საქონელს (ცხვარი, თხა, ღორი) და დ) ძაღლებს.

შენიშვნა: გადასახადისაგან თავისუფალია: საბჭოთა მეურნეობათა და დასამაკებელ პუნქტების ჯიშიანი საქონელი და საცდელი პირუტყვები საბეითლო-საბაქტერიოლოგიურს ლაბორატორიებში, აგრეთვე იმ პირთა კუთვნილი საქონელი და შინაური პირუტყვები, რომელნიც მთლიანს სასოფლო-სამეურნეო გადასახადს იხდიან.

2. გადასახადის რაოდენობა არ უნდა აღემატებოდეს: 100.000 მანეთს თვითეულს სულ მსხვილფეხა საქონელზე (მუხლი 1, პუნქტი „ა“) და შინაურ პირუტყვზე (მუხლი 1. პუნქტი „ბ“), 20.000 მან. თითო სულ წვრილფეხა საკლავ საქონელზე და 20.000-დან 100 000-მდე მანეთს თითო ძაღლზე.

3. გადასახადი უნდა გადახდილ იქმნეს ნახევარ წლისა.

4 გადასახადის რაოდენობას და გადახდის ვადას აწესებს ადგილობრივი აღმასკომი ადგილობრივ პირობათა მიხედვით და აცხადებს საყოველთაო გასაგებად არა უგვიანეს ერთის თვისა გადახდის ვადამდე.

5. გადამხდელთა სიების შედგენას აღმასკომები აწარმოებენ.

6. ადგილობრივს აღმასკომებს უფლება ეძლევათ პირუტყვთათვის ხარისხები დააწესონ და თვითეულ ხარისხისთვის ცალკე განაკვეთი დანიშნონ, ისე კი, რომ ეს განაკვეთი არ აღემატებოდეს დეკრეტით (მე-2 მუხლი წესებისა) დაწესებულ ნორმას.

7. ადგილობრივ პირობათა მიხედვით აღმასკომებს შეუძლიანთ ამა თუ იმ კატეგორიის გადამხდელისათვის გამონაკლისი დააწესონ გადასახადისაგან.

8. გადასახადი შეტანილ უნდა იქმნას აღმასკომთა კასებში.

9. გადასახადის მიღებაზე გადამხდელს სათანადო ქვითარი ეძლევა, აგრეთვე ნომრის ნიშანი თვითეულ ცხოველზე; აღმასკომს უფლება აქვს, გადაახდევინოს გადამხდელს ნომრის ნიშნის ფასი.

10. დაწესებულ ვადაზე შეუტანელი გადასახადი ნარჩენად ჩაითვლება და გადახდევინებულ იქნება საჯარიმო ზედმეტით და გადახდევინების იძულებითი ზომების მიღებით თანახმად გადასახადთა და ხარკთა გადახდევინების დებულებისა.

11. ვადის გაგრძელება, ნაწილობრივად გადასახადის გასტუმრების ნების მიცემა, პატიება და მიღებულ გადასახადის უკან დაბრუნება სწარმოებს თანახმად საფუძველთა, რომელიც დაწესებულია გადასახადებისა და ხარკებისათვის.

12. ცნობების მიუწოდებლობისათვის, ან აშკარად ყალბ ცნობების მიწოდებისთვის დამნაშავენი პასუხს აგებენ სასამართლოს წინაშე.

ა. კ. ფინანსთა სახალხო კომისარი: თუმანოვი.

ა. კ. ფინანსთა სახ. კომ. კოლეგიის წევრი: ერქომაიშვილი.

—

წესები.

გადასახადის დადებისა გადაზიდვის ხელობაზე. (ა. კ ცენტრ. აღმასრ. კომიტეტისა და ა. კ სახალხო კომისართა საბჭოს დეკრეტი, განყოფილება—2, თავი—8, მუხლი—6, პუნქტი—7 (ქალაქებში) და პუნქტი—7 (ქალაქ გარეთა ადგილებში).

1. გადასახადი უნდა შეეწეროს ყველა კერძო თანამდებობის პირს, საზოგადოებას, წარმოებას და მთავრობის დაწესებულებას და წამოწყობას, რომელთაც ხელობათ აქვიათ ტვირთვის გადაზიდვა, ხალხის გადაყვანა და სხვა ბორნებით, ნავებით, ხელის ურმებით და სხვა...

2. გადაზიდვის ხელობაზე გადასახადი უნდა დაედოს: ქალაქებში—არა უმეტეს 10 პროცენტისა საიჯარო ფასისა, ან 2 პროც. მთელის შემოსავლისა სამეურნეო წესით ექსპლოატაციის დროს და ქალაქ გარეთა ადგილებში—არა უმეტეს 10 პროცენტისა წმინდა შემოსავლისა და ან 2 პროცენტისა მთელ შემოსავლისა.

3. მეორე მუხლში ნაჩვენებ შეწერას რაოდენობის ფარგლებში აღმასკომებს უფლება ეძლევათ, დააწესონ შეწერის სხვა და სხვა პროცენტები ამა თუ იმ სახის გადაზიდვის ხელობაზე.

4. გადამხდელთა სიების შედგენა, ხელობის შემოსავლის გამორკვევა, გადასახადის რაოდენობის დაწესება და გადახდევინება უნდა აწარმოონ აღმასკომებმა.

5. გადამხდელებმა გადასახადი უნდა შეიტანონ შეწერილობის ფურცლებით აღმასკომების კასებში არა უგვიანეს ერთის თვისა შეწერილობის მიღების დღიდან.

6. შეწერილობის ფურცლებში აღნიშნულ ვადაზე შეუტანელი გადასახადი ნარჩენად ჩაითვლება და გადახდევინებულ იქნება უდავო წესით საჯარიმო ზედმეტით და გადახდევინების იძულებითი ზომების მიღებით თანახმად დებულებისა გადასახადთა და ხარკთა აკრების შესახებ.

7. ვადის გაგრძელება, ნაწილობრივად გადასახადის გასტუმრების უფლების მიცემა, პატიება და მიღებულ გადასახადის უკან დაბრუნება სწარმოებს თანახმად საფუძველთა, რომელიც დაწესებულია გადასახადებისა და ხარკებისათვის.

ა. კ. ფინანსთა სახალხო კომისარი: თუმანოვი.

ა. კ. ფინანსთა სახ. კომ. კოლეგიის წევრი: ერქომაიშვილი.

პარტიული და საბჭოთა კალენდარი

პარტიული.

— საქართველოს კომუნისტური პარტიის ტფილისის ორგანიზაციის მე-4 საუბნო კომიტეტი წინადადებას აძლევს ქვემოაღნიშნულ ამხანაგებს ა. წ. 27 ივნისამდე გამოცხადდენ საუბნო კომიტეტში ერთიანი პარტიული ბილეთების მისაღებად: 1) ზაიცევი ნიკოლოზი, 2) რიაბოვსკი რაფაელი, 3) სმოროდსკი მიხეილი, 4) ნეზლინი ლეონიდი, 5) როსსიკო იგნატი, 6) ნიკოლაევი ეფიმი, 7) მურუსიძე ვასილი, 8) გეგეჭკორი ალექსი ალექსანდრეს ძე.

ზემოაღნიშნულ ვადამდე გამოუცხადებელ ამხანაგების პარტიული ბილეთები გადაეცემა საქართველოს კომუნისტური პარტიის ცენტრალურ კომიტეტს.

პასუხისმგებელ მდივნის მაგიერ ხაცკევიჩი.

საალრიცხვო-სასტატისტიკო ნაწილის გამგის მაგიერ ისაკოვი.

— საქართველოს კომუნისტური პარტიის ტფილისის ორგანიზაციის მე-3 [illegible] კომიტეტი იუწყება, რომ 23 ივნისისათვის დანიშნული საუბნო პარტიულ სკოლის მოწაფეთა საზეიმო გამოშვება, გადაიდო სამშაბათს, 26 ივნისისათვის, ავლაბრის მუშათა კლუბის დარბაზში, სალამოს 6 საათისათვის.

მდივანი [illegible]

— შაბათს, 23 ივნისს, სალამოს 6 საათზე მე-2 უბნის კომიტეტის ბინაზე დანიშნულია საქართველოს კომუნისტური პარტიის ტფილისის ორგანიზაციის მე-2 უბნის რუსულ პარტიული სკოლის გამოშვება.

ყველა კურსელების დასწრება სავალდებულოა.

კომუნისტური პარტიის ტფილისის ორგანიზაციის მე-2 უბნის კომიტეტი.

— ამხ. ამხ. სოფიო ქორიძეს, გრიგოლ ნაბახტიანს და ალექსანდრე სიჩევს წინადადება ეძლევათ ორი დღის განმავლობაში გამოცხადდნენ საქართველოს კომპარტიის ტფილისის კომიტეტის აღრიცხვა ქვე განყოფილებაში.

ტფილისის კომიტეტის აღრიცხვა-სტატისტიკურ განყოფილების გამგე: ვულფოვიჩი.

— **საქართველოს კომუნისტური პარტიის ტფილისის ორგანიზაციის** მე-3 საუბნო კომიტეტი იუწყება, რომ შაბათს, 23 ივნისს, სალამოს 6 საათზე, ავლაბრის მუშათა კლუბის ბინაზე (კონსტანტინოვის ქ. № 11) დანიშნულია საზეიმო გამოშვება საუბნო პარტიული სკოლისა სომხურ ენაზე.

გამოშვებას დაესწრება მესამე უბნის წევრნი და კანდიდატები, კომუნისტური ახალგაზრდობის კავშირის წევრნი, სამხედრო ორგანიზაციათა წარმომადგენელნი და უპარტიო მუშები.

ვიწვევთ აგრეთვე პარტიულ, პროფესიონალურ და საბჭოთა ორგანიზაციების წევრებს.

პასუხისმგებელი მდივანი ვართაპეტიანი.

განცხადებები

მწუხარებაში მყოფნი დედ-მამა კონსტანტინე და მეუღლე ვასასი ბაქრაძეები, ვაცნობებთ ნათესავთ და ნაცნობთ, რომ უკანასკნელი სიცოცხლის გამოთხოვების წლის თავი მათი საყვარელი შვილის გარდაცვალებიდან

მიშიკო კონსტანტინესძის ბაქრაძის

კვირას 24 ივნისს 1923 წ. გადახდილ იქნება წირვა და სალამოს 6 საათზე პანაშვიდი— ვერის წმინდა ნიკოლოზის ეკლესიაზე.
864 1—1

ღრმად დამწუხრებულნი: მშობლები მაქსიმე და ოლღა, ბიძები ანტონი და ვლადიმერი, ბიცოლები ფაჩუ და მინადორა, ბიძაშვილები ევგენი, ივლიტა, ივლიანე, მარო, აკაკი, ვარლამი, დუკლიდა, ნოე, გრიგოლ, იასონი და ამფროსი ხვითარიები აუწყებენ ნათესავებს და ნაცნობთ, უდროოდ გარდაცვალებას, ტფილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის სოციალურ-ეკონომიურ ფაკულტეტის მესამე კურსის. და პოლიტეხნიკურ ფაკულტეტის მეორე კურსის სტუდენტი

აპალონ ხვითარიასი,

რომლის გამოსვენება ქალ. ტფილისის პირველ საავადმყოფოდან და გასვენება სოფ. ჯოლევში მოხდება შაბათს, 23 ივნისს, ნაშუადღევის 3 საათზე. (859 1—1)

ღრმად დამწუხრებული მეუღლე დარია ივანეს ასული აბრამაშვილისა შვილებით; სიდედრი ეკატერინე ალექსის ასული და ცოლის ძმები იაგორ და მიხეილ ივანეს ძე ქიმერიძეები, ამით აუწყებენ ნათესავთ და ნაცნობთ, რომ კვირას, 24 ივნისს გადახდილი იქნება

ზაქარია იოსების ძე აბრამაშვილის

დღიდან გარდაცვალების ორმოცი დღის წირვა და პანაშვიდი ვერის წმინდა ნიკოლოზის ეკლესიაში. წირვის დასაწყისი დილის 10 საათზე პანაშვიდი წირვის შემდეგ მიცვალებულის საფლავზე იმავე ეკლესიის ეზოში. (862—1—1)

ღრმად დამწუხრებულნი დედა, დები, ძმები და სიძეები აუწყებენ ნათესავებთ, მეგობრებს, ამხანაგებს და ნაცნობებს, რომ 24 ივნისს დღის 12 საათზე დანიშნულია პანაშვიდი ძვირფასი და დაუვიწყარი

მიხეილი (მიშა) გიორგის ძე
ბერიძის

გარდაცვალების წლის თავზე მიცვალებულის საფლავზე (ვერის სასაფლაო). (861—1—1)

საქართველოს წითელი ჯვრის ცენტრალური
კომიტეტი

იწვევს სამალარიო ექსპედიციაში **გამგე-ექიმს,**

რომელიც უნდა იცნობდეს მალარიას ეპიდემიოლოგიურად და კლინიკურად. ექსპედიცია გაემგზავრება სამურზაყანოში (გალის რაიონში) და კახეთში (ალაზნის გაღმა) გამგე ექიმისათვის სავალდებულოა ქართული ენის ცოდნა.

მთხოვნელებმა უნდა მიმართონ წითელ ჯვარს curriculum vitae-ს წარდგენით (თაიროვის შესახვევი № 5) 10—2 საათამდე არა უგვიანეს 28 ივნისისა. კრ. 469—2—1

შინაგან საქმეთა სახალხო
კომისარიატი
აცხადებს, რომ საჯარო ვაჭრობით აუქციონზე
გაიყიდება
ოქროს, ვერცხლის
და სხვა საოჯახო **ნივთები**
კვირას, 24 ივნისს, დილის 10 საათიდან ნაშუადღევის 2 საათამდის, **კომისარიატის ეზოში.**
ევანგულოვის ქუჩა № 2. (470—1—1)

კბილის ექიმი
ს. ა. ცეიტლინი
ხაპიორის ქ. № 41, მიღება მუდამ დღე 9—2 საათ. დღის და 4—7 ს. სალ. კვირაობით 9—2 ს. დღის
ხელოვნური კბილები. ოქროს მუშაობა 788 25—10

ელექტრონის სინათლის და
სამკურნალო
საწოლებით რენტგენი [illegible]
მიხეილ ბედევანიშვილის [illegible]
ნერვიული და შინაგან ავადმყოფთათვის—რომელნიც ფიზიკური მეთოდებით ექიმობას საჭიროებენ
[illegible] სწარმოებს **ექ. სვიმონ** [illegible]
[illegible] ტფილისი, [illegible] ქ. № 20. (501—26—5)

დაიკარგა საწევრო წიგნაკი სახალხო გამოკვების პროფესიონალური კავშირისა № 1004. ვახტანგ აბრამიშვილის სახელობისა. ჩაითვალოს გაუქმებულათ. (857—1—1)

დაიკარგა საალრიცხვო ბარათი ომარ ლონძალ-ოღლის სახელობისა. ჩაითვალოს გაუქმებულათ. (858—1—1)

დაიკარგა პასპორტი, გაცემული მე-4 უბნის კომისარიატის მიერ სარქის ტერ-არაქელიანცის სახელობაზე. ჩაითვალოს გაუქმებულად. (860—1—1)

ამ. „ზარია ვოსტოკა“-ს სტამბა, კრუზენშტერნის ქუჩა № 4